საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 103 (905)

სამშაბათი, 7 ივნისი, 1994 წელი

ფასი 6000 კუპონი

რწმუნების სიგელების გადაცემა

6 ივნისს იტალიის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საქართველოში ბატონმა ფედერიკო დი რობერტომ რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. ბატონმა ელჩმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წილად ხვდა პატივი წარმოადგინოს თავისი სახელმწიფო საქართველოში, რომელსაც სათავეში უდგას აღიარებული პოლიტიკური მოღვაწე ედუარდ შევარდნაძე. სიგელების გადაცემის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გაიმართა შეხვედრა, რომელზეც სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა საქართველოში შექმნილ ვითარებაზე.

ბატონმა ფედერიკო დი რობერტომ იმედი გამოთქვა, რომ იტალია-საქართველოს შორის დაწყებული კონტაქტები უფრო გააქტიურდება. იტალია ერთი იმ მრავალრიცხოვან ქვეყანათაგია, რომელიც სისტემატურად ეხმარება საქართველოს.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სასურველია ორი ქვეყნის ურთიერთობა ეყრდნობოდეს სამართლებრივ ბაზას. ამისათვის კი საქართველოში მოიწვია იტალიის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

პარლამენტთა შორის ურთიერთობის დასამყარებლად

3 ივნისს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში თელფიკ ოქაიაოზს, თურქეთის პარლამენტის წევრს ართვინის გუბერნიიდან, თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების, საქართველო-თურქეთის პარლამენტთშორისი ურთიერთობის ჯგუფის თავმჯდომარეს ბატონ სულეიმან ჰატინოღლუს და ბიზნესმენს, ბატონ კენან ილდირიმს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტში შექმნილია ანალოგიური ჯგუფი. საქართველო-თურქეთის პარლამენტთშორისი ხელშეკრულების თანახმად, წელიწადში ორჯერ რიგრიგობით თბილისსა და ანკარაში უნდა გაიმართოს ამ ჯგუფების ოფიციალური შეხვედრები.

მხარეები შეთანხმდნენ პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართოს უახლოეს დროს ანკარაში.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყნებს დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს და დრო დადგა პარლამენტებს შორისაც დამყარდეს მყარი ურთიერთთანამშრომლობა.

შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და თურქეთთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის წევრი ჯემალ გოგოძე.

მხარს უჭერს რუსთაველებს

3 ივნისს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რუსთავის მერს სოსო არეშიძეს და ყოფილ ვიცე-მერს, ამჟამად პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატს სერგო ტოპრიკაშვილს.

ბატონმა სოსო არეშიძემ და სერგო ტოპრიკაშვილმა მადლობა გადაუხადეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს იმისთვის, რომ გაითვალისწინა მათი თხოვნა და მისი დავალებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით რუსთავში მოეწყო ფართომასშტაბიანი ოპერაცია. მათ სახელმწიფოს მეთაურს გადასცეს რუსთაველ მეტალურგთა თხოვნა, 9 ივნისს საზეიმოდ აღინიშნოს მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის დაწყების 50 წლისთავი.

სახელმწიფოს მეთაური გაეცნო რუსთაველთა მიერ დაყენებულ პრობლემას ქალაქისათვის სამშობიარო სახლის მშენებლობისა და წყალსადენის სათავე ნაგებობის მძიმე მდგომარეობის შესახებ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა რუსთავის მოქალაქეებისა და მეტალურგების მოთხოვნებს და დასმული პრობლემების გადაჭრის მიზნით გამოსცა შესაბამისი განკარგულებები.

ინგლისში რომ დაინტერესდნენ

2 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ქართულ-ინგლისური კულტურის და ბიზნესის ცენტრის წარმომადგენლები დიდი ბრიტანეთიდან — ტრევორ ჯონსი — იზლინგტონის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების გამგე და ენტონი უოლსი — მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში. ცენტრის მიზანია ბრიტანეთში საქართველოსადმი ინტერესისა და მეგობრული განწყობილების გაღვივება, ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზება და ბიზნესის დარგში საერთო ინტერესების გამოვლენა-განვითარება.

სახელმწიფოს მეთაურმა დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვა სტუმრებს.

გამორჩეულად დახვეწილი

2 ივნისს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ეწვია ბიზნეს-კლუბში გამართულ მხატვარ მამია მალაზონიას ნაწარმოებთა გამოფენას, რომელიც მხატვრის ბოლო ორი წლის მუშაობის შედეგია. იგი ეძღვნება იესო ქრისტეს ცხოვრებას და დავითის ფსალმუნებს.

არაჩვეულებრივი გემოვნებით, დახვეწილობითა და სიფაქიზით გამორჩეულმა ნამუშევრებმა გამოფენის სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამოფენა დაათვალიერეს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ზურაბ კერვალიშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბერნარ ფასიემ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური-საქინფორმი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ლ. ცაავას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი აფხაზეთის საკითხებში **ლონდერ ცაავა** იმავდროულად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის დაწყების 50 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ქართული მეტალურგიის აღორძინებასა და წინსვლის საქმეში რუსთავის მეტალურგიული კომბინატის დიდი წვლილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთულეს პერიოდებში კოლექტივის მიერ გამოჩენილი შრომითი გმირობისა და მოქალაქეობრივი თავდადების გათვალისწინებით

1. მიღებულ იქნეს რუსთავის მერიისა და მეტალურგიული კომბინატის წინადადება და 1994 წლის 9 ივნისს საზეიმოდ აღინიშნოს მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის დაწყების 50 წლისთავი.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ამ დღის აღსანიშნავად.
3. ეთხოვოთ საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ფართოდ გააშუქონ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის დაწყების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებანი.

ე. შევარდნაძე.

1994 წლის 4 ივნისი.

ქართველ-აფხაზთა ჟენევის მოლაპარაკება გადაიდო

მოსკოვი, 6 ივნისი. (იტარ-ტასს—საქინფორმი). 9 ივნისისათვის დასახული ქართველთა და აფხაზთა ჟენევის მოლაპარაკება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებზე, 15 ივნისისათვის გადაიდო.

როგორც ორშაბათს იტარ-ტასს-ის კორესპონდენტს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესცენტრში აცნობეს, ეს გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ მოსკოვში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად მდინარე ენგურზე დაპირისპირების ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების შეყვანა შეჩერებულია.

„სამშვიდობო მისიის წარმატებით განხორციელება, უწინარესად ქართველთა და აფხაზთა ინტერესებს შეესაბამება“

— გასულ კვირას თბილისს ეწვია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების აღმასრულებელი მდივანი. ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანასთან დაკავშირებით ყველა რესპუბლიკამ პრინციპული თანხმობა განაცხადა. მაგრამ სამშვიდობო პროცესს არ დაეთანხმა რუსეთის ფედერაციის საბჭო. გასულ კვირასვე გაიმართა სატელეფონო საუბარი პრეზიდენტ ელცინთან. ხომ არ უნდა ველოდოთ რაიმე მოულოდნელობებს? როგორი იქნება თქვენი კომენტარი თანამეგობრობის ქვეყნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ზატულინის იმ განცხადების გამო, რომ არსებობს რუსული ინიციატივის ალტერნატიული ვარიანტი — გაეროსა და სხვა სახელმწიფოთა ძალების შეყვანა აფხაზეთში. თუ რუსეთი დაკარგავს ამ ინიციატივას, იგი დაკარგავს ავტორიტეტს არა მარტო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ვიდრე რუსეთს ძალუძს სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება, იგი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოში არარუსული ძალების შეყვანა რუსეთის გავლენის დაკარგვას გამოიწვევს... — ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ კითხვით დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 6 ივნისის ტრადიციული რადიოინტერვიუ.

— აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანა პრაქტიკულად გადაწყვეტილი საკითხია. ეს ამ ორი დღის წინათ სატელეფონო საუბარში დაადასტურა რუსეთის პრეზიდენტმა ბატონმა ბორის ელცინმა. ახლა ზუსტდება დეტალები. ამ ოპერაციის ზოგიერთ ასპექტზე 6 ივნისს სატელევიზიო გადაცემაში ილაპარაკა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა მეტად საგულისხმო მომენტები. მოვლენები ისე განვითარდება, როგორც დაგეგმილი იყო, უეჭველ შემთხვევაში, ასეთია ჩემი და ბატონ ელცინის სატელეფონო საუბრის შინაარსი. სამშვიდობო მისიის ჩაშლის თეორიულად დაშვებაც კი სერიოზულად შეარყევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, როგორც დიდი რეგიონული ორგანიზაციის ავტორიტეტს. ვფიქრობ, ეს არც ერთი სახელმწიფოსათვის არ იქნება მისაღები. და, რა თქმა უნდა, ეს დიდი დარტყმა იქნება რუსეთისთვისაც, რომლის სამშვიდობო მისია, კერძოდ, აფხაზეთში, შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს (მხედველობაში მაქვს სტაბილურობა სამხრეთ რუსეთის დიდ სივრცეებზე) და ამავე დროს განამტკიცებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს. ასე რომ, ამ მისიის წარმატებით განხორციელება, უწინარესად, ქართველთა და აფხაზთა ინტერესებს, საქართველოს ინტერესებს, და, ამავე დროს, თანამეგობრობის ყველა ქვეყნისა და რუსეთის ინტერესებსაც შეესაბამება.

მე მივესალმები ბატონ ზატულინის შეფასებებს, როგორც რეალისტურსა და კარგად ბალანსირებულს.

— საერთოდ, აფხაზეთის კონფლიქტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ალბათ ერთ-ერთი რიგითი კონფლიქტია პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ კონფლიქტებს შორის, რომლებიც აგრესიული სეპარატიზმის შედეგია. ასეთი კონფლიქტები, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, საკმაოდ დიდია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. კარგა ხანია ყირიმთან დაკავშირებით კონფლიქტური სიტუაციაა უკრაინაში...

— არაერთხელ მითქვამს საქვეყნოდ, საჯაროდ, ყველას გასაგონად, — 80-იანი წლების დამლევიდან მოყოლებული, როცა დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი, და განსაკუთრებით 90-იანი წლების დამდეგიდან, თუ რა საშიშია და რა საფრთხეს წარმოადგენს აგრესიული სეპარატიზმი პოსტკომუნისტური ეპოქისათვის. სამწუხაროდ, პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა არც საერთაშორისო და არც რეგიონულ ორგანიზაციებში, რათა ცივი ომის დამთავრების ისტორიული პროცესის ფონზე თავიდანვე აგვეცილებინა ისეთი საშიში მოვლენა, როგორიც აგრესიული სეპარატიზმია, და პლანეტის მოქალაქეთათვის დაგვემკვიდრებინა მშვიდობიანი ნორმალური ცხოვრების გარანტიები. მსოფლიომ ვერ შეაფასა ეს საფრთხე, მისი მასშტაბი, ანდა, ვინც შეაფასა, მათ ნაკლებად იზრუნეს პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებაზე. ეს დიდად სამწუხაროა. სწორედ ეს არის დღეს ევროპაში, და არა მარტო იქ, უსიამოვნო მოვლენათა მიზეზი, რომლებიც მომავალში შეიძლება კიდევ უფრო დიდ საფრთხედ გადაიზარდოს.

ეს ზოგადი შეხედულება ყირიმსაც ეხება. დარწმუნებული ვარ, ყირიმის საკითხი გადაწყდება ერთიანი, განუყოფელი უკრაინის სახელმწიფოს ფარგლებში, რუსეთის ხელშეწყობით, რასაც არსებითი მნიშვნელობა ექნება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არ შეიძლება რუსეთის ფაქტორის უგულებელყოფა ყირიმის საკითხის მოგვარებაში.

მეორე დებულება, რომელიც ასევე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო — ეს არის, რომ დაუშვებელია კონფრონტაცია რუსეთსა და უკრაინას შორის. ეს დიდი უბედურება იქნება არა მარტო ჩვენი მეგობარი ორი დიდი სახელმწიფოსათვის, არამედ სხვებისთვისაც ევროპასა თუ აზიაში, ასეთი კონფრონტაცია გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს, კერძოდ, საქართველოს, მთლიანად კავკასიას და შავიზღვისპირეთს.

— გასულ კვირას თქვენთან გაიმართა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი. ამის შემდეგ რუსთავში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფართომასშტაბიანი ოპერაცია. გაგრძელდება თუ არა ასეთი ღონისძიებები და რამდენად შედეგიანად მიგაჩნიათ ისინი?

— არ შეიძლება კმაყოფილი ვიყოთ საზოგადოებრივი წესრიგის დღევანდელი დონით, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა ვითარებაში იყო ქვეყანა ერთი წლის, 5-6 თვის წინათ და რა ვითარება გვაქვს ახლა დედაქალაქში, დასავლეთ საქართველოში, მთელ რიგ სხვა რეგიონებში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის აღიარებას, რომ რეალურად მოხდა გარკვეული ძვრები. სამწუხაროდ ჩვენ თვითონ ვაფრთხობთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ შემოვიდნენ საქართველოში და იმუშაონ, მაგალითად, ნავთობის გადამუშავებაზე, გაზის მოპოვებაზე და სხვ. ხშირად ხელს ვუწყობთ ევროპასა და მთელ მსოფლიოში ისეთი ატმოსფეროს დამკვიდრებას, და ისეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, თითქოს საქართველოში შემოსვლა შეუძლებელი იყოს. არადა რეალურად მათთვის შექმნილია მუშაობის უსაფრთხოების პირობები. ამასთან ისიც მინდა ვთქვა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლის უმთავრესი პირობაა. ჩვენ კვლავაც ამ პირობით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ბევრი რამ შეიცვალა, უწინარესად, იმიტომ, რომ გაიზარდა შინაგან საქმეთა ორგანოების წვლილი, ამაღლდა მათი ორგანიზებულობა, მობილიზება და პროფესიონალიზმი. რა თქმა უნდა, მათ ეხმარებიან თავდაცვის სამინისტრო, უშიშროების სამსახური და სხვები, მაგრამ ძირითადი ტვირთი მაინც პოლიციამ იკისრა.

ამასთან, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. გაუხსნელია მრავალი უმძიმესი დანაშაული, ტერორისტული აქტი, რომლებმაც ასე შეძრწუნა ქვეყანა. იმ შეხვედრაზე მე ვთქვი, რომ მთელი პასუხისმგებლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ეკისრება ისეთ სპეციალიზებულ სამსახურს, როგორიცაა უშიშროება. რა თქმა უნდა, საჭიროა დახმარება, მაგრამ ძირითადი სიმძიმე მათ უნდა იკისრონ.

ედუარდ შევარდნაძის 6 ივნისის რადიოინტერვიუ

ამ დღეებში პარლამენტს წარვუდგენ კანონების ნუსხას, რომელთა მიღება აუცილებელია, თუ გვინდა, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა უფრო ეფექტიანი იყოს. ცხოვრება შეიცვალა, გაჩნდა ახალი სახეობის დანაშაულობანი, საჭიროა ახალი შეფასებები, ახალი მიდგომები, ახალი კანონები და ეს სამუშაო პარლამენტმა არდადეგების დაწყებამდე უნდა შეასრულოს. ასეთი პროექტები, პრინციპში, მზადდება.

მინდა ყველას საყურადღებოდ განვაცხადო, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა არ შენელდება. პირიქით, იგი ყოველდღიურად გაძლიერდება და ამ ბრძოლაში ჩვენი საზოგადოებრიობის კიდევ უფრო ფართო ფენები ჩაებმებიან.

— რადგან რუსთავის თემა ვახსენეთ, 12 ივნისს იქ არჩევნები გაიმართება. მოგეხსენებათ, რომ ამ არჩევნებთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი მითქმა-მოთქმაა. არის თუ არა გამოკვეთილი თქვენი სიმპათიები და დამოკიდებულება რომელიმე კანდიდატის მიმართ?

— რაც შეეხება კონკრეტულად რუსთავის საკითხს, ასე ვიტყოდი, რომ ჩემი სიმპათია ან ანტიპათია შეიძლება ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ მე უბრალოდ ფაქტებს ვაფიქსირებ. ამ დღეებში მართლაც შევხვდი ქალაქის მერს ბატონ სოსო არეშიძეს და დეპუტატობის კანდიდატს სერგო ტოპრიკაშვილს, რომლის ინიციატივითაც გაიმართა ეს შეხვედრა. მათი პირველი თხოვნა იყო, დავხმარებოდი რუსთაველებს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში. მე ეს დავავალე შინაგან საქმეთა სამინისტროს, ბატონ შოთა კვირაიას, რომელმაც ძალიან მოკლე დროში, როგორც იცით, წარმატებით განახორციელა ცნობილი ოპერაცია.

ამასთან დაკავშირებით რუსთაველებმა გულწრფელი მადლობა გამოხატეს. ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს კამპანიური ხასიათის ღონისძიება. შინაგან საქმეთა მინისტრმა პირობა მომცა, რომ რუსთავი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღების ცენტრში იქნება და სხვადასხვა მასშტაბის, სხვადასხვა დანიშნულების აქციები კვლავაც გაგრძელდება, რათა რუსთავში წესრიგი დამყარდეს.

ჩვენი საუბრის მეორე თემა იყო მათი შუამდგომლობა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყების 50 წლისთავის აღნიშვნის გამო. ასეთი თხოვნით მომმართა აგრეთვე ქარხნის დირექტორმა ბატონმა გურამ ქაშაკაშვილმა. მე მხარი დავუჭირე ამ ინიციატივას, შესაბამისი განკარგულება გამოვეცი. როგორც ვიცი, რუსთაველები ამ ღონისძიებას 9 ივნისს აღნიშნავენ და მეც გადაწყვეტილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ამ მეტად მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავ ზეიმში. ვიცი, რომ ბევრი სტუმარი იქნება. რუსთაველებისა და საქართველოსათვის ეს ძალიან დიდი მოვლენაა და, ვფიქრობ, საქართველო ამას შესაბამისად აღნიშნავს.

ქალაქის მერისა და დეპუტატობის კანდიდატის თხოვნით განვიხილე რუსთავის წყლით მომარაგების ზოგიერთი საკითხი. სხვათა შორის, იგი ადრეც უნდა განხილულიყო და კარგია, რომ ახლა ეს პრობლემაც და სამკურნალო ცენტრის დაწყებული მშენებლობის დამთავრების ზოგიერთი საკითხიც, ასე თუ ისე, უკვე დადგა დღის წესრიგში. ცენტრი თითქმის დამთავრებულია. რუსთავისათვის იგი შენაძენი იქნება. ამ საკითხებზე წარმოდგენილი არგუმენტები დამაჯერებელი იყო და შესაბამისი განკარგულებებიც გავეცი.

ვფიქრობ, ორივე საკითხის დადებითად გადაწყვეტა ამ წლის განმავლობაში შესაძლებელია. დეპუტატობის კანდიდატმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იგი მშრომელი, თავმდაბალი, კულტურული, ზრდილობიანი, საქმეში ჩახედული კაცია, არის რუსთავის მკვიდრი, რომელმაც კარგად იცის თავისი თანაქალაქელების გასაჭირი და, როგორც შთაბეჭდილება დამრჩა, იგი არ ცდილობს რაღაც გარეგნული და იაფფასიანი ეფექტებით მოიხვეჭოს პოპულარობა. იგი საქმის კაცია. თუმცა ვის აირჩევენ რუსთაველები, ეს მათი საქმეა.

— გასულ კვირას პარლამენტმა დიდი ყურადღება დაუთმო მაფიისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. პოლიტიკური პარტიები და მაფია, თანამდებობის პირები და მაფია, სამწუხაროდ, ეს ის თემებია, რომელთა შესახებ ხმამაღლა ლაპარაკობენ ჩვენში. შედეგები კი მაინც ნაკლებად ჩანს. არსებობს ინფორმაცია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს დიდი მასალა აქვთ მაფიასთან თანამდებობის პირთა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა კავშირის შესახებ.

ბუნებრივია, ისმის ასეთი კითხვა: რას ელოდება ხელისუფლება? ობიექტურ მიზეზებთან ერთად, დღეს შექმნილი პროცესები ხომ არ არის მიზეზი, რომ ხელისუფლება ადეკვატურ ღონისძიებათა მიღებას აგვიანებს?

— როცა საქართველო სამოქალაქო ომის მდგომარეობაში იყო, პრაქტიკულად რამდენიმე წლის მანძილზე, კერძოდ, გასული წლის ბოლო თვეებში და ამ წლის დასაწყისშიც, ძნელი იყო ლაპარაკი კორუფციის, ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაზე. ომებს თან სდევს ნეგატიური მოვლენები, მათი განსაკუთრებული გამოცოცხლება და საზოგადოების საკმაოდ დიდი ძალების ჩათრევა ამ ბინძურ საქმეებში.

როგორც კი ოდნავ მოგვეცა საშუალება, ხელისუფლება სათავეში ჩაუდგა ამ ბრძოლას. ბევრი რამ გამოაშკარავდა, და კიდევ ბევრი რამ გახდება ცნობილი. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

მაფიოზური, კორუმპირებული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა მთელი საზოგადოების საქმეა და ჩვენ თანდათანობით ასეთ მდგომარეობას მივაღწევთ. ამ ბოლო ერთი თვის-თვენახევრის განმავლობაში რამდენი მასალა გამოქვეყნდა პრესაში ორგანიზებული მაფიოზური ჯგუფების დამნაშავეობის შესახებ, კერძოდ, ეკონომიკის, ფინანსების სფეროში და სხვ. ეს არ დამთავრებულა, პირიქით, მომავალში უფრო მეტი მასალა გამოქვეყნდება, მაგრამ გამოქვეყნდება მაშინ, როცა შესაძლებელი იქნება.

რა თქმა უნდა, პარლამენტის ყოველგვარი აქტიურობა მისასალმებელია. იგი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და უიმისოდ, ალბათ, კორუფციის, როგორც მოვლენის, საბოლოო დაძლევაზე ლაპარაკი ძნელია. მაგრამ პარლამენტმა უნდა იმუშაოს პარლამენტისათვის შესაფერისი ფორმებითა და მეთოდებით. თუ მოხდება სამართალდამცავი ორგანოების, მათი ოპერატიული სამსახურებისა და პარლამენტის ფუნქციების აღრევა, ჩვენ ახალ უბედურებას გადავეყრებით.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პარლამენტს აქვს კონტროლის, შემოწმების უფლება. მაგრამ, როცა ლაპარაკობენ, არის ზოგიერთი საიდუმლო მასალა, ალბათ, გაინტერესებთ, რას ნიშნავს ეს? საიდუმლოდ ითვლება სპეციალური ხერხებითა და მეთოდებით მოპოვებული მასალები, რომლებიც მხოლოდ იმ მუშაკებისათვის უნდა იყოს ცნობილი, რომლებიც ამ საქმეს ემსახურებიან. თუ პარლამენტი ამაში ჩაიხედავს, ქექვას დაიწყებს და დღის სინათლეზე გამოიტანს, მაშინ საქართველოში არც ერთი საქმე არ გაიხსნება. და როგორც გითხარით, მოხდება ძალიან ცუდი რამ. მე ვიცი, რას ნიშნავს, როცა საკანონმდებლო ორგანოებისა და სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების აღრევა ხდება.

მერვე სვეტი

გააკეთებენ სწორ არჩევანს

3 ივნისს, ზუგდიდში, საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმშენ-მრეწვის“ კულტურის სახლში, აქაური საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრობის კანდიდატს, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას.

სიტყვით გამოსულებმა მურმან დემურიამ, დაზმირ ცანავამ, დავით აფხაზავამ, თინა მებონიამ, კლიმენტი კოკაიაშვილმა, აკაკი ბელქანიამ, ვახო ფარცვანიამ და სხვებმა ამომრჩევლებს მოუწოდეს, 12 ივნისს გააკეთონ სწორი არჩევანი და ხმა მისცენ კანდიდატებად დასახელებულთა შორის ყველაზე ღირსეულს.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ ილაპარაკა რესპუბლიკისა და რაიონის სადღეისო პრობლემებსა და პერსპექტივაზე, უპასუხა ამომრჩეველთა მრავალ შეკითხვას.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

პარლამენტარი ექიმებს იცავს

3 ივნისს, რესპუბლიკურ კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოში ქალბატონი ირინა სარიშვილი შეხვდა მედპერსონალს.

საუბარი შეეხო საავადმყოფოს ერთ-ერთ კორპუსში შიდსის ცენტრის განთავსების გადაწყვეტილებას, რომელსაც მედპერსონალი კატეგორიულად არ ეთანხმება. მედიკოსების აზრით, ინფექციურ საავადმყოფოში არ შეიძლება შიდსით დაავადებულთა მოთავსება. ეს გამოიწვევს მათ ინფიცირებას, მით უმეტეს, რომ დღეს საავადმყოფოში არ არის შექმნილი არანაირი სანიტარიული პირობები.

ქალბატონმა ირინა სარიშვილმა დახმარება აღუთქვა მედპერსონალს, შეპირდა, რომ მათ მოსაზრებას ხელისუფლებას გააცნობს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი.

გაზეთის ორი ნომერი ჩავარდა! მიზეზი იგივეა — უშუქობა!

3 ივნისს, დილის 9 საათსა და 10 წუთზე ლისის ტბის რაიონში ელექტროგადამცემი ხაზის გაწყვეტის გამო თბილისის მეტროპოლიტენის მატარებლების მიმოსვლა მთლიანად შეწყდა. 10 საათისათვის ავარიის მიზეზები აღმოფხვრეს, მაგრამ მეტრომ მუშაობა მხოლოდ 2,5 საათის შემდეგ განაახლა.

საქინფორმის ამ ცნობას დავუმატებთ, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ ელექტროკვება მხოლოდ 16 საათზე ჩაურთეს. შაბათის ნომრისთვის გათვალისწინებული მასალების აწყობა ვეღარ მოხერხდა, გადავწყვიტეთ „რიგითი“ ნომერი მაინც გამოგვეშვა. მაგრამ საღამოს 9 საათისთვის დენი კვლავ გაითიშა და ჩვენი ძალისხმევა ამაო გამოდგა. ამრიგად, გასულ კვირას ორი ნომრის გამოშვება ვერ მოვახერხეთ ელექტროენერგიის უქონლობის გამო, რისთვისაც ბოდიშს გიხდით, ძვირფასო მკითხველებო!



— ყველა უბედურების საპასუხოდ ფარივით გვაქვს მომარჯვებული საკრამენტული ფრაზა: „პატრონი არა გვყავს!“

ვინ უნდა იყოს ჩვენი პატრონი? ამ და სხვა საკითხებით დაინტერესებულებს დღევანდელი ნომრის III გვერდზე ვიწვევთ.

არავის არაფერს ამადლიან

ლაითურის ჩაის მეურნეობა-კომბინატის ჩინებულად მოვლილ პლანტაციებში ფოთოლი ადრე შემოვიდა საკრეფად.

ლაითურელებს წლეულს შარშანდელი 4.120-ის ნაცვლად სულ ცოტა, 6000 ტონა ნედლეულის დამზადება აქვთ განზრახული. მეურნეობაში ჩაის ფოთლის საკრეფი 30 მანქანა „საქართველო“ და 20-მდე ხელით საკრეფი აპარატია, მაგრამ 350 ჰექტარი პლანტაცია მაინც ხელით მოსაკრეფია.

— გადაწყვეტილი გვაქვს, წლიური მოსავლის 55 პროცენტი მაის-ივნისში მოვკრიფოთ, — გვიამბობს დირექტორი მერაბ გოგიბერიძე. — ადრე მამაჩემი მუშაობდა აქ დირექტორად. ამ ყოველმხრივი გაჭირვებისა და კრიზისის პირობებში ვადამდე დავამთავრეთ საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები, სეზონიც სხვაზე ადრე დავიწყეთ.

მეჩაიეები პლანტაციაში შრომობენ, ხვავდება მოსავალი, ძვირფასი ტვირთით სავსე ავტომანქანები ჩაის ფაბრიკისკენ მიემართებიან: კონვეიერი — პლანტაცია — ტრანსპორტი — ჩაის ფაბრიკა. მოქმედებს.

შესვენებისას შევხვდით თამაზ თავდგირიძის ბრიგადის წევრებს.

ჟუჟუნა სურმანიძე, მკრეფავი: ჩემს გარჯას არავის ვამადლი, 5 შვილი მყავს, ხომ უნდა გავარჩინო, ბატონ შევარდნაძის დიდი იმედი გვაქვს. ამ დღეებში ტელევიზორში მოვისმინეთ, როგორ ეუბნებოდნენ შევარდნაძეს, გადადექიო. რაღაცას კიდევ ეს კაცი გვაპურებს, სხვებს ენის ლიკლიკის მეტი რა შეუძლია. თუ ასე გააგრძელეს, პარლამენტიდან ზოგ-ზოგს უკანვე გამოვიწვევთ.

დავით შავაძე, მუშა: მე საშუალო განათლება მაქვს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ზოგიერთი, პარლამენტარის პროფესიონალობაში გავცვალო. შარშან, 14 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფე, წლეულს უფრო მეტს მოვკრეფ. ხშირად ერთი სურვილი გამიჩნდება ხოლმე: ბევრი პარლამენტარი, ხალხის სახელით რომ უყვარს ლაპარაკი, ნეტავ ჩამოვიდოდეს ჩვენთან და ნახავდეს, რა პასუხსაც გასცემს ხალხი.

ახალგაზრდა მკრეფავებმა ნარგიზა თავდგირიძემ, ეთერ ჭალალიძემ, მაყვალა ფუტკარაძემ, ნანული იბრალიძემ, შუშანა ბაკურიძემ, კარინე გაბრიელიანმა, „საქართველოს“ მექანიზატორმა გივი იბრალიძემ, 21-ე ბრიგადის წევრებმა შოთა ბაკურიძემ, ჟუჟუნა დავითაძემ, პირველსავე დღეს ტონობით მწვანე „ოქრო“ გაგზავნეს გადასამუშავებლად.

ბეგლარ ჩხაიძე,
„სრ“ საკ. კორ.

ვის როგორ ესმის სამშობლო

როგორც საკუთარ დუქანში...

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოში შემოსული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმებულ იქნა „კავკასიის კონცერნის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა.

დადგინდა, რომ 1993 წლის 25 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის რესურსებიდან „კავკასიის კონცერნის“ მიერ მიღებული 500 მილიონი მანეთი გამოყენებულ იქნა არამიზნობრივად, — არავითარი ნაბიჯი რესპუბლიკისათვის აუცილებელი საქონლის შესაძენად არ გადაუდგამთ და არავითარი წვლილი რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესების დაჩქარებაში არ შეუტანიათ.

ამ სესხის თანხიდან 150 მილიონი მანეთი გამოყენებულ იქნა 60 ათასი ამერიკული დოლარის შესაძენად, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში „კავკასიის კონცერნის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ივანე გოცირიძის მისავლინებლად. ფაქტობრივად 1993 წლის 1 მარტს ამ ქვეყანაში გაემგზავრა 87-კაციანი ჯგუფი, აქედან 36 კაცი — კონცერნის ხელმძღვანელები და მათი ნათესავები, 11 კაცი — თვითმფრინავის ეკიპაჟი და 40-კაციანი ტურისტული ჯგუფი, რომელიც შეადგინა ფირმა „დაჩი-92“-მა. ამ უკანასკნელთაგან შეგროვებული თანხა — 8 ათასი აშშ დოლარი და 1 მილიონი მანეთი — „კავკასიის კონცერნის“ სალაროს შემოსავალში არ იქნა აღებული.

1993 წლის 26 თებერვალს „კავკასიის ბანკიდან“, „კავკასიის კონცერნის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ივანე გოცირიძემ სალაროს გვერდის ავლით გამოიტანა 60 ათასი აშშ დოლარი, რომელიც გადაეცა „კავკასიის კონცერნის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, რესპუბლიკის ყოფილ ვიცე-პრემიერს ამირან ქადაგიშვილს მოგზაურობის ხარჯების დასაფარავად. მოგზაურობაში ყოფნისას ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 53421 აშშ დოლარი. სხვაობამ „კავკასიის ბანკიდან“ გამოტანილ და მოგზაურობისას დახარჯულ ვალუტას შორის შეადგინა 6579 აშშ დოლარი, რომელიც ა. ქადაგიშვილმა „კავკასიის კონცერნის“ სალაროს შემოსავალში არ შეიტანა. მოგზაურობაში ყოფნისას გაწეული ხარჯებიდან (53421 აშშ დოლარიდან) 32414 აშშ დოლარით ტელე-ვიდეო-აპარატურა იყიდეს, რომელიც ასევე შემოსავალში არ იყო აღებული „კავკასიის კონცერნში“.

აღნიშნული ტელე-ვიდეო-აპარატურიდან ნაწილი — 72 ერთეული ი. გოცირიძემ გაყიდა. მიღებული თანხა 16.582 აშშ დოლარი, 10 096 000 კუპონი და 718000 მანეთი ასევე არ იქნა აღებული „კავკასიის კონცერნის“ სალაროს შემოსავალში.

1993 წლის 6 მაისს ერთობლივ საწარმო „ამირანში“, სადაც ინახებოდა ტელე-ვიდეო აპარატურა, მოხდა ქურდობა, რაზეც ქ. თბილისის ისნის საგამოძიებო განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ქურდებმა წაიღეს აპარატურის 62 ერთეული, ღირებულებით 17223 აშშ დოლარი. აქ ხდება საოცარი ამბავი: ბატონ ამირან ქადაგიშვილის განკარგულებით შეადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც ჩაწერეს, თითქოსდა ტელე-ვიდეო აპარატურა შეძენილი იყო მხოლოდ 17223 აშშ დოლარის ღირებულებისა.

ეროვნული ბანკის სესხის დაფარვა ნაწილობრივ მოხდა შემდეგი თანამიმდევრობით: ბატონ ამირან ქადაგიშვილის განკარგულებით საინვესტიციო კორპორაცია „საკოდან“ მიიღეს 135 ათასი აშშ დოლარი, რომლის ნაწილი — 75800 აშშ დოლარი საბროკერო ფირმა 255/2-ის შუამავლობით 962 მილიონ კუპონად მიჰყიდეს ფირმა „ალექსანდრე I“-ს. ცნობისათვის: საბროკერო ფირმა 255/2-ის პრეზიდენტი გოჩა წულუკიძე ერთდროულად არის „კავკასიის კონცერნის“ ფინანსური დირექტორი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ასევე ცნობისთვის: ფირმა „ალექსანდრე I-ს“, რომელიც აღრიცხვაზეა საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და ბალანსებიც არ წარუდგენია. ამ საკითხს იკვლევენ კომპეტენტური ორგანოები.

ანალოგიურად, როგორც წინა შემთხვევაში, 33 333 აშშ დოლარი საბროკერო ფირმა 255/2-ის შუამავლობით 495 მილიონ კუპონად მიჰყიდა ფირმა „თბილისი-სიტი“-ს. „კავკასიის კონცერნმა“ დაფარა კრედიტის თანხა 560 მილიონი კუპონი, ნაცვლად გადასახდელი 620 მილიონი კუპონისა, ე. ი. 60 მილიონი კუპონით ნაკლები. „კავკასიის კონცერნს“ დაერიცხა ბიუჯეტში შესატანი თანხა ერთი მილიარდ შვიდას სამოცდათორმეტი მილიონ ხუთას სამოცდათორმეტი ათასი კუპონი.

შემოწმებისა და მოკვლევის მასალები სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად გადაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, ხორციელდება ღონისძიებები კონცერნის მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

აღიმართება დავით აღმაშენებლის ძეგლი

4 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის აგებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეხვედრაზე ითქვა, რომ მუშა ჯგუფმა უკვე დაასრულა წინასწარი საპროექტო სამუშაოები და ახლა საჭიროა გამოიყოს საჭირო სახსრები მშენებლობის დასაწყებად. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ ფინანსური სიძნელეებისა, რომლებსაც დღეს რესპუბლიკა განიცდის, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოს — დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა ამშვენებდეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

დავით აღმაშენებლის ძეგლის აგების ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ

დღეს, როცა საქართველო მტკიცედ დაადგა ეროვნული დამოუკიდებლობის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების გზას, მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის დიდი წინაპრების მაგალითზე პატრიოტიზმის გაღვივებას, რწმენისა და ოპტიმიზმის განმტკიცებას. ამ მიზნით დავით აღმაშენებლის — დიდი სტრატეგის, მეომრის და მოაზროვნის, ჰუმანისტისა და ფილოსოფოსის, საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლის ძეგლის დადგმა, რომელიც განზრახულია თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, განუზომელ სულიერ ღირებულებას იძენს.

დავით აღმაშენებლის ძეგლის აგების ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ი. ანდრიაძე):

ა) 1994 წლისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების ხარჯზე განახორციელოს დავით აღმაშენებლის ძეგლის დაპროექტებისა და მშენებლობის სამუშაოები;

ბ) ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს და შესათანხმებლად წარმოადგინოს ძეგლის საპროექტო, სამშენებლო და ჩამოსასხმელი სამუშაოების წარმოების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, იმის გათვალისწინებით, რომ ძეგლის აგება დასრულდეს 1995 წლის მეორე კვარტალში.

2. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ (ვ. მაღრაძე), ქ. თბილისის მერიამ (ნ. ლეკიშვილი), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ი. ანდრიაძე) აქტიური დახმარება გაუწიონ მოქანდაკე მ. ბერძენიშვილს, არქიტექტორთა ჯგუფს (ო. კალანდარიშვილი) და მშენებლებს ძეგლის ჩამოსხმასა და მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში.

3. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ (ვ. კერესელიძე) სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს ძეგლის კვარცხლბეკისათვის საჭირო ქვის მოპოვება და დამუშავება ყაზბეგის რაიონში.

4. დაევალოს „საქგაზის“ დეპარტამენტს (დ. ელიაშვილი). „საქტრანსგაზის“ სამრეწველო-სამშენებლო სამმართველოს მეშვეობით გააგრძელოს ძეგლის აგების სამუშაოები და უზრუნველყოს მისი დამთავრება დადგენილ ვადაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტმა (გ. მირიანაშვილი) უზრუნველყოს ძეგლის მშენებლობა საჭირო სამშენებლო მასალებით სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის განაცხადის შესაბამისად.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა (დ. იაკობიძე) და ეკონომიკის (თ. ჩიკვაიძე) სამინისტროებმა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი გაანგარიშების საფუძველზე დამატებით გამოყონ სათანადო სახსრები.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და თბილისის მერიამ ძეგლის მშენებლობის დაჩქარებისა და თანხებით უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებანი სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების, მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე ბიზნესმენების ინიციატივისა და საქველმოქმედო საქმიანობის გამოსაყენებლად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი დაბრუნების პრობლემათა მოსაგვარებელი მუდმივმოქმედი შტაბის შექმნის შესახებ

1. **შეიქმნას** აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი დაბრუნების პრობლემათა მოსაგვარებელი მუდმივმოქმედი შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

ოთარ ფაცაცია — შტაბის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი;

თამაზ ნადარეიშვილი — თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

ლონდერ ცაავა — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (შტაბის მდივანი);

ვახტანგ აბაშიძე — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის გენერალური დირექტორი;

ანზორ ბურჯანაძე — საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის თავმჯდომარე;

იგორ გიორგაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე;

არჩილ გოგელია — საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარე;

გურამ გოგიჩაიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ვაჟა გუჯაბიძე — საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ზურაბ ერქვანია — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ვალერიან ვაშაკიძე — საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე;

რემი ვაშაკიძე — საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე;

მურთაზ ზანქალიანი — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი;

დავით ზუბიტაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის „ნავთობპროდუქტების“ სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარე;

დავით იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

ფრიდონ ინჯია — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი;

ალექსანდრე კავსაძე — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე;

გენო კალანდია — საქართველოს პარლამენტის წევრი;

შალვა ქიქელია — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე;

შოთა კვირაია — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

გურამ მირიანაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ვარდენ ნადიბაიძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

ზურაბ პაპასკირი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველი;

ბორის სალარიძე — საქართველოს რესპუბლიკის „საქავტოგზის“ სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარე;

რევაზ ტყემალაძე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი;

ნინო უზნაძე — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საერთაშორისო ჰუმანური დახმარების კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელი;

ვახტანგ ყოლბაია — გალის რაიონის გამგებელი;

ედიშერ ჩარგაზია — ზუგდიდის რაიონის გამგებელი;

ზურაბ ჭანკოტაძე — საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე;

იური ჭედია — „საქენერგოს“ დეპარტამენტის თავმჯდომარე;

მამია ჭუმბურიძე — საქართველოს რესპუბლიკის ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე;

იოსებ ხარატიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამშენებლო და კომუნალური მეურნეობის საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

ავთანდილ ჯორბენაძე — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

2. შტაბმა უზრუნველყოს აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი და ეტაპობრივი დაბრუნებისათვის აუცილებელი ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრა.

3. აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი და ეტაპობრივი დაბრუნების პროგრამის საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით შტაბმა შექმნას საინფორმაციო უზრუნველყოფის ჯგუფი და შეუქმნას მას მუშაობისათვის საჭირო ყველა პირობა.

ე. შევარდნაძე.

1994 წლის 4 ივნისი, ქ. თბილისი

პრობლემა, რომელიც უთუოდ უნდა გადაიჭრას

საქვეყნო ფიქრი

„ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ“.

ილია ჭავჭავაძე.

მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დონე იყო, არის და ყოველთვის დარჩება ნებისმიერი ქვეყნის სიმდიდრის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებლად. ამასთანავე, მარცვლეული, როგორც მთავარი სასურსათო პროდუქტი, განვითარებული ქვეყნების ხელში, სულ უფრო მეტად ხდება პოლიტიკური დაწოლის იარაღი.

ამ ფონზე განუსაზღვრელად დიდია მარცვლეულის მნიშვნელობა რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნების საქმეში.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაში ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა კლების ტენდენცია და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის გაძვირება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მარცვლეულის წარმოების ზრდის ტემპი ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, შესაბამისი დასკვნის გამოტანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საკუთარი მარცვლეულის წარმოების უგულებელყოფა და რესპუბლიკის გარედან მისი შემოტანის გეზის აღება რესპუბლიკის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფაში ყოველთვის გამოიწვევს სერიოზულ სიძნელეებს, მისგან გამომდინარე ნეგატიური მოვლენებით.

მთლიანად მსოფლიოში, და ცალკეულ ქვეყნებშიც, ერთ სულ მოსახლეზე მარცვლეულის წარმოების მაჩვენებელი ერთ-ერთი უმთავრესია ადამიანების კეთილდღეობის განსაზღვრისათვის. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ იგი სხვა მაჩვენებლებთან შედარებით ბევრად ნაკლებად არის დამოკიდებული ერის შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილებაში არსებულ უთანასწორობაზე.

ამრიგად, ყოველი ერის, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მარცვლეულის საკუთარი მეურნეობისათვის შექმნას მკვიდრი ბაზა. საქართველოს აქვს ამ ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელი რესურსები. ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი სტრატეგიული შეცდომა სწორედ მარცვლეულის მეურნეობის განუვითარებლობაა. „ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, — პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს“. (ი. ჭავჭავაძე).

პურისა და პურის პროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყოველწლიურად საჭიროა საშუალოდ 1-1,2 მილიონი ტონა სასურსათო მარცვლეული. ამის გარდა, პირუტყვის საკვებად საჭიროა 0,6-0,7 მილიონი ტონა, ხოლო სათესლედ — 100 ათასი ტონა, სამრეწველო და სხვა საჭიროებისთვის — 0,2-0,4 ათასი ტონა, სულ კი 2-2,5 მილიონი ტონა მარცვლეული.

მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი აუცილებელი ღონისძიებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურისა და თვით მარცვლეულის ნათესი ფართობის სტრუქტურის სრულყოფა.

მარცვლეულის ნათესის სტრუქტურა 1996 წლისათვის შეიძლება ასეთნაირად წარმოვიდგინოთ: სასურსათო ხორბალი და სიმინდი — 250 ათას ჰექტარზე, საფურაჟე მარცვალი (სიმინდი, ქერი, შვრია)—100 ათას ჰექტარზე. ამ ფართობებზე შესაძლებელია სულ 1,2 მლნ ტონა მარცვლეულის წარმოება, თუ თავთავიანი კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა 25-30 ცენტნერი, სამარცვლე სიმინდისა კი 35-40 ცენტნერი იქნება (საფურაჟე მარცვლეული — 35 ც.)

2000 წლისათვის მარცვლეულის დასათესად ფართობები შეიძლება გაიზარდოს 420 ათას ჰექტრამდე. ამასთან, მარცვლეულის წარმოება ამ წლებში შეიძლება გაიზარდოს შესაბამისად 1,6-1,8 მილიონ ტონამდე.

აღნიშნული მოცულობით მარცვლეულის წარმოება რეალურად გვესახება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დღევანდელი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებშიც კი. წლევანდელი წლის დასაწყისისთვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში აღრიცხული იყო ყველა მოდიფიკაციის 19150 ტრაქტორი. მათ შორის: კ-700 მარკისა—244, ტ-150 მარკისა — 1300, დტ-75 მარკისა—3750, მტზ მარკისა—7200 ერთეული და ა. შ. ადგილებზე, რაიონებსა და რეგიონებში, აღნიშნული ტექნიკის რაციონალური აგროტექნიკური სერვისული სამსახურების ჩამოყალიბებით შესაძლებელია რესპუბლიკაში სულ მოიხნას 2,3 მილიონი ეტალონური ჰექტარი, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე დღეს რეალურად სჭირდება რესპუბლიკას (წლის განმავლობაში ერთი ეტალონური ტრაქტორის 1250 ეტალონური ჰექტარით დატვირთვის პირობებში).

ანალოგიური მდგომარეობაა სატვირთო მანქანების (საერთო რაოდენობა 1994 წლისათვის შეადგენდა 17271 ერთეულს), მარცვლის ასაღები კომბაინების, სატრაქტორო მისაბმელების (8589) და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების განხრითაც.

ისიც აღსანიშნავია, რომ მარცვლეულის საელევატორო მეურნეობის საერთო სიმძლავრეები 2 მილიონ ტონას აღემატება და დამატებითი სიმძლავრეების მშენებლობა საჭირო არ გახდება.

ზოგიერთი მოსაზრება რესპუბლიკის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დასახული ამოცანის გადასაწყვეტად იმავდროულად აუცილებლობად მიგვაჩნია რესპუბლიკაში განხორციელდეს ზოგიერთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები. კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებად გვესახება მარცვლეულის მწარმოებელთა ხელშემწყობი ფონდის დაარსება, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება მარცვლეულის სელექციისა და მეთესლეობის განვითარების, თესლბრუნვების შემოღების სტიმულირებისა და წარმოების კულტურის ამაღლების, აგრეთვე ცალკეული სახეობის მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების (სიმინდი, ლობიო, სოია, ბარდა და ა. შ.) წარმოების გადიდების მიზნობრივ პროგრამათა შემუშავებისა და რეალიზაციის დაფინანსების ხელშეწყობა.

ფონდის ფინანსური სახსრების აკუმულაცია პირველ ეტაპზე შეიძლება უცხო სახელმწიფო კრედიტებით შეძენილი სხვადასხვა სურსათის, მათ შორის ფქვილის ნაწილის კომერციული არხებით რეალიზაციის საშუალებით, კომერციული სტრუქტურებისა და მოსახლეობის ფართო ფენების ფინანსური მონაწილეობით და ა. შ.

ამ თვალსაზრისით [illegible] რეალურად გვესახება პურის ფასის დაახლოება რეალურ ღირებულებასთან, რესპუბლიკაში ნორმირებული პურის გამოცხობისათვის საჭირო ფქვილის გადამეტებით არსებული რესურსების კომერციულ ფასებში გაყიდვა და ამ ამონაგების მარცვლეულის სახელმწიფო რესურსების შექმნისათვის გამოყენება. შეგვეწევს ძალა განვახორციელოთ ფასების პოლიტიკა მარცვლეულზე ფქვილის ფასების პროპორციულად კომერციული ფასების გამოყენებით, რათა დაგროვდეს საჭირო სახსრები ადგილობრივი მარცვლის შესყიდვის პრაქტიკის დასამკვიდრებლად. კომერციული ანუ თავისუფალი ფასებით ფქვილის რეალიზაცია ემყარება იმ პრინციპს, რომ პურზე სახელმწიფოს მიერ დაწესებულია რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები ფიქსირებული ფასები, რაც მისაღებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ სოციალურად დასაცავი კონტინგენტისათვის (პენსიონერები, მრავალშვილიანები, ინვალიდები, მოსწავლე-ახალგაზრდობა და ა. შ.), და არა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისათვის, რომელთაც აქვთ პურის რეალურ ფასებში შეძენის საშუალება.

ექსპერტული გაანგარიშებით, კერძო პურის საცხობებს ყოველთვიურად კომერციული ფასებით შეიძლება მივყიდოთ 10.000 ტონამდე ფქვილი (წელიწადში რესპუბლიკაში საშუალოდ 600 ათასი ტონა ფქვილის გახარჯვის და მისი 20 პროცენტის კომერციულ ფასებში გაყიდვის პირობებში, რაც სავსებით მისაღებად უნდა ჩაითვალოს).

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1 ტონა ფქვილი რესპუბლიკას საშუალოდ 160 დოლარი უჯდება, მაშინ ამ გზით წელიწადში საერთო ამონაგები 19,2 მილიონ დოლარს შეადგენს (10000X160X12), რაც ადგილზე მარცვლეულის სახელმწიფო რესურსებში მოზიდვის საწყის ფინანსურ რესურსად შეიძლება გამოვიყენოთ. კერძოდ, თუ თითოეულ ტონა მარცვალში მწარმოებელს 60-70 დოლარის კურსით გადავუხდით, მარტო ამ გზით 300 ათას ტონამდე მარცვლის დამზადებას შევძლებთ.

მარცვლეულის ფასები წინასწარ უნდა ეცნობოს მწარმოებლებს, რაც უდაოდ მეტად დააინტერესებს მათ მარცვლეულის წარმოების გადიდებით. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ტონა მარცვლეულის წარმოებისათვის ამჟამინდელი ფასებით საჭიროა საშუალოდ 38-40 დოლარი (მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, მინერალური სასუქები და სხვა ნაანგარიშევია თავისუფალი საბაზრო ფასებით).

მომდევნო წლებში კომერციულ ფასებში გასაყიდი ფქვილის ფონდის გაზრდა შეიძლება მოთხოვნილებისა და რესურსების შესაბამისად. ამ მიზნით შესაძლებელია გამოვიყენოთ ჰუმანური დახმარების სახით შემოსული მარცვლეულის რეალიზაციით მიღებული ამონაგები და დეპოზიტზე არსებული თანხების საპროცენტო განაკვეთი, სხვადასხვა ფონდიდან მიღებული შემოსავლები, კრედიტი და სხვა სახსრებიც, რაც ყოველწლიურად შექმნის მარცვლეულის მეტი ოდენობით დამზადების რეალურ პირობებს. მარცვლეულის ადგილობრივი რე[illegible] გადიდების, ამ გზის მთლიანად [illegible] ლიად რეალურად მიიჩნევენ ევროგაერთიანების ექსპერტები.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებას, სოციალური პრინციპების დაცვის გარდა, სხვა დატვირთვაც აქვს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ პურის ფასი (ისევე როგორც სხვა პროდუქტებისა, რომლებზეც დღეს სახელმწიფო რეგულირებადი ფასებია) თანდათანობით დაუახლოვდება მის რეალურ ღირებულებას და ჰუმანური დახმარების გზით მიღებული რესურსებიც უფრო მიზანდასახულად გამოიყენება, რაც მომავალში ამ სახის დახმარებათა კიდევ უფრო გადიდების აუცილებელი საწინდარია (როგორც ცნობილია, დონორ სახელმწიფოთა ჰუმანური დახმარების გადიდების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა პროდუქციაზე თავისუფალი ფასწარმოქმნისა და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ სხვა ურთიერთობათა წარმოებაში რეალურად დანერგვა).

მიგვაჩნია, რომ თუ ეს პრობლემა გადაწყდა და რესპუბლიკაში მარცვლეულის სასურსათო ფონდი შეიქმნა, შესაბამისად გადაწყდება ხორცის, რძის, კვერცხისა და ყველა სხვა სასურსათო პროდუქტის წარმოების პრობლემაც. სწორედაც მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში ყველა სხვა დარგის განვითარება. ამიტომ ეს საკითხი პირველი რიგის სახელმწიფო პროგრამად უნდა იქცეს რადიკალური აგრარული რეფორმის გონივრულად განხორციელების პროცესში.

პაატა კოღუაშვილი.

⊙

რედაქციისაგან: წერილში წამოჭრილი პრობლემა ყველა შესაბამის სამინისტროსა თუ უწყების, მმართველობითი ორგანოების გადაუდებელ ყურადღებასა და მათ მხრივ აუცილებელი ღონისძიებების ოპერატიულ განხორციელებას მოითხოვს. იმედია, ისინი ჩვენივე გაზეთის მეშვეობით მოსახლეობას აცნობებენ, თუ რა გაკეთდა და გაკეთდება ამ მხრივ უახლოეს მომავალში.

პოზიცია

ევრაზიის სივრცე: ახალი შეთანხმებისაკენ

სახელმწიფოებრიობის უნიტარული ფორმა, როგორიც იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, უდავოდ დრომოჭმული აღმოჩნდა, მან შეასრულა თავისი მისია (დადებითად თუ უარყოფითად ამას, ამჟამად დიდი მნიშვნელობა არა აქვს) და აუცილებელი იყო გზა დაეთმო ახალი ფორმისათვის, რომელიც დღევანდელი მსოფლიო განვითარების რეალიებით იყო ნაკარნახევი.

ამასთან ერთად, მრავალეროვანი სახელმწიფოს საძირკვლამდე ნგრევა არ იყო ფატალური აუცილებლობა არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური და არც სოციალური თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ არავითარი პროგრესული, ნორმალური გეგმა ამ ვეებერთელა სივრცის შემდგომი მოწყობისა არ არსებობდა, გარდა წმინდა წყლის ლოზუნგური დეკლარაციებისა, რომლებმაც დღემდე ვერ შეისხა ხორცი და ვერც შეისხამს. კიდევ მეტი, ამ ლოზუნგებმა მოახდინა სრული დისკრედიტირება ისეთი ცნებებისა, როგორიც არის დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სოციალური ურთიერთობები და სხვა. პრაქტიკულად ყველა ქვეყანა (ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი) კატასტროფულად მიექანება უფსკრულისაკენ, თანმდევი ტრაგიკული მოვლენებით (ომები, დიქტატურა, ადამიანთა უფლებების სრული იგნორირება, სოციალური კატასტროფა, ქურდობა-ძარცვა, ქურდულ-მაფიოზური კლანების თარეში და ა. შ.).

უნიტარიზმისაგან განთავისუფლება არ მოითხოვდა ხალხების ბუნებრივი, ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირების გაწყვეტას, არამედ საჭიროებდა მის დემოკრატიულ რეფორმირებას, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, რომელიც დაემყარებოდა თანხმობას და ურთიერთინტერესს. სხვათა შორის, დღეს სალანძღავად გამხდარი „უნიტარიზმი“ არ არის სალანძღავი, იგი ლათინურია და ნიშნავს ერთიანობას. სხვა საქმეა, რა აზრი დევს ამ ერთიანობაში, ჩვენს სინამდვილეში კი ყოველგვარ ერთიანობაზე უარის თქმამ საზოგადოება ანარქიამდე მიიყვანა და პრინციპში გაიხსნა გზა პირველყოფილი საზოგადოებისაკენ, ანუ გამოქვაბულისაკენ.

ამ მოვლენების შედეგები ყოველდღიურად თვალნათლივ ვლინდება საზოგადოების ღრმა კრიზისში, რომელმაც პრაქტიკულად მოიცვა მთელი საბჭოთა სივრცე; ღრმავდება ეკონომიკური კრიზისი, რაც განპირობებულია არა სამეურნეო ცხოვრების სტრუქტურული ცვლილებებით, არამედ რესპუბლიკებს შორის სავაჭრო ეკონომიკური კავშირების გაწყვეტით, ეროვნული ვალუტის შემოღებით, საბაჟოებით და ა. შ. სხვათა შორის, აქვე შევნიშნავთ, რომ ცივილიზებულ სამყაროს ეს საკითხები ყოველგვარი ბარიერების გარეშე აქვს მოგვარებული.

ეკონომიკურმა რეფორმამ ვერ შექმნა შრომისადმი ახალი მოტივაცია. საბაზრო ურთიერთობების ნაცვლად ყალიბდება მაფიოზური ფსევდო-ბაზარი, კორუფციამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა უწინდელს, ეროვნული მეწარმეობა კრიტიკულ მდგომარეობაშია, რის გამოც ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოები განიხილება, როგორც საქონლის გასაღების (რა თქმა უნდა, — იაფფასიანი, უხარისხო) ბაზად, ნედლეულის წყაროდ. არავის სურს იხილოს ისინი კონკურენტებად მაღალი ტექნოლოგიის ბაზარზე. მიმდინარეობს ამ სახელმწიფოების დაყვანა მესამე სამყაროს დონემდე (თუ უფრო დაბლა არა).

ყველასთვის ცნობილია, რომ მძაფრმა ეკონომიკურმა კრიზისმა ყოფილი საბჭოთა სივრცე სოციალურ კატასტროფამდე მიიყვანა. იზრდება **პოლიტიკური არასტაბილურობა**, ირღვევა ადამიანის უფლებები და პირველ რიგში წმიდათაწმიდა—ცხოვრების, არსებობის უფლება, მრავალ რეგიონში ჩვეულებრივი მოვლენაა ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია, მოქალაქეებს ერთმევათ საარჩევნო უფლება, შემოდის აკრძალვები პროფესიაზე, დადგა **სახელმწიფოებრიობის კრიზისი**, უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობაშია **მეცნიერება, განათლება, კულტურა**.

და მიუხედავად ყველაფრისა მდგომარეობიდან გამოსავალი არის. იგი ძევს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის დემოკრატიული და ცივილიზებული მექანიზმების გამომუშავებაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხალხებისა და მთავრობების საერთო ძალისხმევით. საკუთარი ხალხების მშვიდობით და სიმშვიდის სახელით ისინი უნდა მივიდნენ ახალ შეთანხმებამდე, რათა გამომუშავდეს ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები თანაცხოვრების წესი.

შექმნილი სიტუაციის ტრაგიზმსა და აბსურდს, რომლის გააზრება ახლა მიმდინარეობს, ხალხები მიჰყავს იმის გაგებამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით ევროპისა და აზიის სახელმწიფოებისა, რომლებიც ადრე შედიოდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში.

ისტორია გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია ყალიბდებოდა, როგორც რაღაც ერთიანობა, რომლის ცალკეული რეგიონები ვითარდებოდა მსგავსი კანონებით, გაჩნდა ცხოვრების საერთო წესები. ევრაზია ყალიბდებოდა, როგორც ხალხების სიმბიოზი, რომლებიც ავსებდნენ ერთმანეთს მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ისინი არაერთგზის ერთიანდებოდნენ და შეიმუშავეს უნიკალური კულტურა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ისეთ როლს, როგორსაც ასრულებენ ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ამერიკა, აფრიკა. იგი გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

გეოპოლიტიკური ფაქტორი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია წარმოადგენს „შუა მატერიკს“, რომელიც შესამჩნევად განსხვავდება დასავლეთ ევროპისაგან, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთისაგან და წარმოადგენს „სამშობლო-კონტინენტს“, რომლის ბედი განუყოფელია მისი ყველა ხალხის ბედისაგან. იმ შემთხვევაში, როცა ევრაზიის ხალხებს შორის თავს იჩენდა უთანხმოება, იგი უცხო ძალების თარეშის ასპარეზი ხდებოდა. ბრძოლა ევრაზიის განაწილებისათვის უდავოდ დაარღვევს (თუმცა ის ახლა დარღვევის პროცესშია) მსოფლიო გეოპოლიტიკურ ბალანსს და შეიძლება გახდეს გლობალური კატაკლიზმების მიზეზი.

ეკონომიკური ფაქტორი. ევრაზიის ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბებულია მყარი შრომის განაწილება, რაც განპირობებულია მათი თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურებით. ამ ფაქტორის იგნორირებამ უკვე მიიყვანა ყველა სახელმწიფო წარმოების დაცემამდე, ფაქტობრივად ცხოვრების დონე ამ ქვეყნებში რამდენიმე ათეული წლით ჩამორჩა.

ამას გარდა, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა წარმოადგენს რამდენიმე ეკონომიკური გავლენის კონგლომერატს, რომელთა შორის მიმდინარეობს კონკურენცია. ვანგრევთ რა საკუთარ სივრცეს და მექანიზმს, უცილობლად ვექცევით დამოკიდებულ მდგომარეობაში, სადაც ყველა ქვეყანას გარანტირებული აქვს კოლონიური დანამატის სტატუსი. ევრაზიას გააჩნია ყველაფერი (ნედლეული, სამეცნიერო, შრომითი და სხვა რესურსები) იმისათვის, რომ გახდეს ეკონომიკურად ერთ-ერთი წამყვანი რეგიონი მსოფლიოში.

ისტორიული ფაქტორი. ერთიანი გადარჩენისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, სამეურნეო ურთიერთმოქმედება, ისტორიული ბედისა და კულტურის ურთიერთგადაჯაჭვულობა წარმოშობს ურთიერთპატივისცემის და მიზიდულობის გრძნობას. მათ შორის არასოდეს არ ყოფილა შეურიგებელი წინააღმდეგობა, შიდაომები ყოველთვის ატარებდა საკუთარ ხალხში დომინირების ხასიათს, იგი მეზობლის განადგურებისათვის არასოდეს ყოფილა განზრახული. კიდევ მეტი: ისინი ყოველთვის ერთად იბრძოდნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან.

პოლიეთნიკური ფაქტორი. თანამედროვე ევრაზიის შემაკავშირებელ ფაქტორად გამოდის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პოლიეთნიკურობის მაღალი ხარისხი. 75 მილიონი ადამიანი ცხოვრობს თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მილიონობით ადამიანი დაქორწინებულია სხვა ერის წარმომადგენლებზე, ჰყავთ ნათესავები და მეგობრები სხვადასხვა რესპუბლიკაში და რეგიონში.

მოტანილი ფაქტები ადასტურებს, რომ საბჭოთა სივრცეში წარმოშობილი ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ევრაზიული ერთობის კონტექსტში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევით. ევრაზიის ხალხების მიერ თავიანთი ძირეული ინტერესების შემდგომი გააზრება უფრო ფართო ერთობისკენ, შესაძლებელს ხდის გზის გახსნას ახალი ტიპის ნებაყოფილობითი სახელმწიფოთაშორისო და ეროვნებათაშორისო კავშირისაკენ — ევრაზიის თანამეგობრობისკენ.

ევრაზიული თანამეგობრობა, რომელიც მსოფლიოში თვითმყოფად ადგილს დაიკავებს, განსაკუთრებულ ცივილიზაციად აღმოცენდება, პრეტენზია არ ექნება პრიორიტეტულ მდგომარეობაზე და არ დაუპირისპირდება არავის. იგი გულისხმობს თანაბარ დაინტერესებას როგორც ევროპის, ისე აზიის მიმართ.

საქართველო ამ ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით. მათ შორის მაინც ძირითადად მიმაჩნია ის, რომ საქართველომ დღემდე ვერ განსაზღვრა პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში, ქვეყანა ფაქტობრივად აღმოჩნდა ილუზიების ტყვეობაში, ხან ამერიკის, ხან კიდევ ევროპის ხელებში შემყურე. აფხაზეთის ტრაგედიის დროს საზოგადოებაში გაისმოდა ასეთი ფრაზა: „ევროპამ კვლავ მიგვატოვა“. ნუთუ გაუგებარია ის, რომ ევროპას საქართველო არ სჭირდება, ის არის სხვა სივრცე, თუნდაც სხვა სამყარო, ევროპას შეუძლია გითანაგრძნოს, ჰუმანური დახმარება გამოგიგზავნოს, მოგეფეროს და წავიდეს, ამერიკისაგან ამდენსაც ვერ მიიღებ. თუ გშია, დაგეხმარება (დახმარებით ჯერ ქვეყანა არავის დაუპურებია).

აუცილებელი არ არის იყო პოლიტიკოსი, რათა დაინახო—საქართველოს იზოლირებული არსებობა არ შეუძლია, არც ის არის აღმოჩენა, რომ, ვთქვათ, საქართველო ვერ აიტანს ვერც ერთ სხვა სივრცეს და ვერც ერთი სივრცე საქართველოს ვერ აიტანს ყოფილი საბჭოთა სივრცის გარდა; ვერსად ვერ იპოვნის საქართველო აფხაზეთის დაბრუნების გასაღებს (ვერც აშშ-ში, ვერც გაეროში, ვერც ჟენევაში), ვერსაიდან ვერ მიიღებს საქართველო იმას, რაც მისი ეკონომიკის ხელახლა შექმნას სჭირდება, ვერსად ვერ გაასაღებს საქართველო თავის საქონელს, თავის ინტელექტუალურ პოტენციალს, ისე როგორც ყოფილ საბჭოთა სივრცეში — ამ სიტუაციაში დავარქვათ მას ევრაზიის თანამეგობრობა (თუმცა დიდი მნიშვნელობა არა აქვს სახელწოდებას), სივრცე რჩება სივრცედ და იგი უცვლელია. ცვალებადია მისი მოწყობის მექანიზმი და სწორედ ეს მექანიზმი უნდა იყოს დემოკრატიული, რომელმაც უნდა მოგვცეს თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი და ურთიერთმომგებიანი თანამეგობრობა.

როლანდ ჯანაშია.
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ვ. ბერიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ მეცნიერებაში, განათლებასა და ხელოვნებაში მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აკადემიკოსი **ვახტანგ ბერიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1994 წლის 2 ივნისი.

ინციდენტი ჩხოროწყუში

როგორც საქინფორმის კორესპონდენტისათვის კომპეტენტური ორგანოებიდან ცნობილი გახდა, 4 ივნისს ჩხოროწყუში მოეწყო ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის ერთ-ერთ კანდიდატთან ტრადიციონალისტთა კავშირიდან, რომელსაც ესწრებოდა ამ კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი. დარბაზში დაახლოებით სამოცდაათამდე ამომრჩეველი იმყოფებოდა.

შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოსულმა ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა აკაკი ასათიანმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია არსებული ხელისუფლების კურსი, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და რაიონის პოლიციის თანამშრომლები, რომლებსაც მოღალატეები უწოდა იმის გამო, რომ ისინი ხელისუფლებას ემსახურებიან. ამას შეკრებილთა მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მწვავე შეკამათებისა და შელაპარაკების შემდეგ დამსწრეთა დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი.

ვნებათა ღელვამ დარბაზის გარეთაც გადაინაცვლა. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზისაკენ, სადაც ისევ იმყოფებოდნენ ჩამოსული სტუმრები, დაიძრა აღშფოთებულ ადამიანთა ჯგუფი, პოლიცია შეეცადა სერიოზული ინციდენტის თავიდან აცილებას. ხალხის ნაკადის შესაჩერებლად პოლიციის თანამშრომლები იძულებული გახდნენ ჰაერში რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა მოეხდინათ.

დარბაზში მყოფი ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და წევრები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ჯერ შენობა, შემდეგ კი რაიონი.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრობის კანდიდატის განცხადება

1994 წლის 2 ივნისს დაახლოებით 19 საათზე შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ჩემი ქალიშვილის ოჯახს. მეზობლების დროული ჩარევითა და დახმარებით თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი ტერორისტული აქტი.

არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს იყო ჩემს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული და პირადად ჩემს წინააღმდეგ მიმართული აქტი, თუმცა სწორედ წინა დღით საქართველოს პარლამენტში ზოგიერთი დეპუტატი გამოვიდა დაუფარავი მუქარით, რომ იწყებდა ჩემს, როგორც დეპუტატობის კანდიდატის წინააღმდეგ ომს, ხოლო ზოგიერთმა სხვამ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს უკადრისი ფორმებით გაილაშქრა ჩემს წინააღმდეგ.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა დღეს საქართველოში უაღრესად დაძაბულია, გადაწყვეტილი მქონდა, არ გამეხმაურებინა ეს ინციდენტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც 4 ივნისს, 21 საათსა და 30 წუთზე შავნიღბიანი 10 ბანდიტი თავს დაესხა ჩემი საარჩევნო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ოჯახს კუტუზოვის შესახვევში მდებარე მის ბინაში, იძულებული ვხდები გავაკეთო ეს განცხადება.

ამ, ჯერჯერობით ბოლო შემთხვევის დროს, თავდამსხმელები შეეცადნენ შეჭრილიყვნენ ზემოთ აღნიშნულ ბინაში, სადაც მხოლოდ ბავშვები და ქალები იმყოფებოდნენ. საბედნიეროდ, ამ უკანასკნელებმა მოახერხეს დაერეკათ ჩემთან და ერთობლივი ძალისხმევით შევძელით ამ პროვოკაციულ-ტერორისტული აქტის აღკვეთა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივმართავ ხელისუფლების, მთავრობისა და ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელებს, რათა უზრუნველყონ ჩემი ოჯახის წევრებისა და ახლობლების უსაფრთხოება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის საარჩევნო კანონით.

ბუნებრივია, საჭირო ღონისძიებების განუხორციელებლობის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრება.

პატივისცემით
ჟურმან ომანიძე.

კინოკონცერნ „ქართული ფილმის" მომავალი

განუზომლად დიდია „ქართული ფილმის" მნიშვნელობა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. ამ ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილ ურთულეს პირობებშიც კი ქართულ კინოს არ უღალატია თავისი საუკეთესო ტრადიციებისათვის, არ შეუწყვეტია განვითარების პროცესი და გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის წარმატებებში. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს თავისთავადობით აღბეჭდილი ფილმები და არაერთ პრესტიჟულ საერთაშორისო დათვალიერებაში მოიპოვეს დამსახურებული აღიარება.

მაგრამ დასამალი როდია, რომ ახლა, ისე როგორც მთლიანად კულტურას, უჭირს ქართულ კინოსაც, უჭირს ფინანსურად, მატერიალურად. კინოს მოღვაწეები ეძებენ გზებს, რათა გადალახონ ყველა ის სიძნელე, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს კინოკონცერნ „ქართულ ფილმს". ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, რაც ძირეულად ცვლის როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის სფეროს, „ქართული ფილმის" წინაშეც მთელი სიგრძე-სიგანით დადგა მისი ახლებურად მოწყობის საკითხი.

სწორედ ეს განიხილეს 4 ივნისს გამართულ ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროთა, უწყებათა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომას უძღვებოდა ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

კინოკონცერნ „ქართული ფილმის" პრეზიდენტმა რეზო ჩხეიძემ დაწვრილებით ისაუბრა პროექტზე, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს „ქართული ფილმის" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს კონცერნს შეუქმნის მტკიცე სამეურნეო საფუძველს, უცხოელი ინვესტორებისათვის იგი საინტერესო იქნება, როგორც არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამის შედეგად „ქართული ფილმის" მფლობელობაში არსებული ქონების ორი მესამედი კინოკონცერნის თანამშრომლებს გადაეცემათ. ქონების ნახევარი დაიფარება საპრივატიზაციო ჩეკებით, ქონების ერთი მესამედი კი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება, რაც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული გარანტიის საფუძველია.

ინფორმაცია განსჯისათვის: თითოეული ქართული ფილმის გადაღება დღეს დაახლოებით 28 მილიარდი კუპონი ჯდება. ამ თანხის ოდენობა წლის მანძილზე ბიუჯეტშიც კი არ არის.

ვიდრე ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდით, ძალიან დიდი მუშაობა განხორციელდა... გაიმართა შეხვედრები ფინანსთა და სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრებთან, სპეციალისტებთან. ამ საქმეში ჩაერთვნენ გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში გიუნტერ დალჰოფმა მოიწვია, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ. მთავარი კონსულტანტი დოქტორი ჰარტმუტ ფრომი და მისი ჯგუფი მუშაობდნენ ქართველ იურისტებთან ერთად. დამუშავდა „ქართული ფილმის" მომავლის გეგმა და სქემა, კინოკონცერნის სააქციო საზოგადოების მოდელი. ამ დოკუმენტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოწონება დაიმსახურა.

პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა იურისტმა ლადო ჭანტურიამ ვრცლად ილაპარაკა კინოკონცერნის მომავალზე, კერძოდ, თქვა, რომ „ქართული ფილმი" იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის დამფუძნებლები იქნებიან სახელმწიფო და სამეურნეო ამხანაგობა (კომანდიტური საზოგადოება). ეს მოდელი არა მარტო „ქართული ფილმისათვის" გამოდგება, არამედ საერთოდ პრივატიზებისთვისაც.

სხდომაზე გამოვიდნენ ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია, ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე, სახელმწიფოს მეთაურის მრჩევლები გიზო გელეიშვილი, კობა იმედაშვილი, პეტრე ბაქრაძე, თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე, პარლამენტარები ლანა ღოღობერიძე, გიგა ლორთქიფანიძე, თეიმურაზ კოპალეიშვილი, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სოსო ბაჩიაშვილი, კახეთის რეგიონის რწმუნებულის მოადგილე მედეა მეზვრიშვილი.

მათ მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნეს, რომ კულტურის სფეროში ეს ერთ-ერთი გამართლებული გზაა. ამასთან, გამოითქვა არაერთი საქმიანი და გასათვალისწინებელი შენიშვნა.

— ამ მოვლენაში მთავარი ის არის, რომ საქმე გვაქვს განსახელმწიფოებრიობასთან, რაც თანამედროვე ვითარებაში ქმნის იმის პირობებს, რომ ვითანამშრომლოთ ყველა პარტნიორთან, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ — სახელმწიფო არ იხსნის პასუხისმგებლობას, იგი გარკვეული გარანტი იქნება კინოხელოვნებისა, რათა მან მიღწეული დონე არ დაკარგოს და შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი ეროვნულობა.

საკითხის დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გერმანელმა სპეციალისტებმა, რომლებმაც შემოგვთავაზეს თანამედროვე სტანდარტების დონეზე შემუშავებული პროექტი. აქ ყველაზე დიდი პრივილეგია იქნება ის, რომ თვითონ ახალ სისტემაში შეიქმნას კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტიმულები. საქმე გვაქვს სრულიად ახალ თვისებრიობასთან. კომერციის პირობებში დიდი იქნება ცდუნება, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი იყოს. ამისათვის შეიძლება ისეთი ფილმებიც კი აჩვენონ ეკრანებზე, რომლებიც დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ, ამიტომ, თავიდანვე უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს ასე არ მოხდეს.

გადაწყდა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით დამუშავდეს და საბოლოო სახის მიცემის შემდეგ გამოქვეყნდეს.

ბატონმა რეზო ჩხეიძემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ ამჟამად წარმოებაშია 12 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. წარმოუდგენელი სირთულეების მიუხედავად აპირებენ კიდევ ორი ფილმის გადაღებას.

სხდომაზე გამოვიდა სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ვალერი ასათიანი, რომელმაც შეკრებილთ გააცნო ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის უახლესი განსახილველი საკითხები.

საუბარმა ქართული კულტურის გადარჩენის საკითხებზე, ბუნებრივია, ფართო სპექტრი მოიცვა. კერძოდ, გაიმართა დაინტერესებული სჯა-ბაასი მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ახლანდელი სავალალო ვითარების, კულტურის ძეგლების რესტავრაციის აუცილებლობის შესახებ.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე.

განსჯა

გადაგვარება

მიზეზი თუ შედეგი იმ რეალობისა, რომელშიც ვცხოვრობთ?

ჩვენი სახელმწიფო და, მაშასადამე, თითოეული ჩვენგანი სამოქალაქო საზოგადოების პირველ საფეხურზე ვიმყოფებით და გვსურს ამ ციცაბო კიბეზე ასვლა.

ამ ჯანსაღი სურვილის მიუხედავად, ყველა უბედურების საპასუხოდ, ფარივით გვაქვს მომარჯვებული საკრალური ფრაზა: „პატრონი არა გვყავს!"

ამ პატრონყმური ფსიქოლოგიის მატარებელი შელოცვები გაისმის არა მარტო პურის რიგებსა და ქუჩებში, არამედ პოლიტიკურ კულუარებშიც. ასე დაკნინდა საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობა.

იმ თავაშვებულობიდან, რომელშიც ეხლა ვცხოვრობთ, ჭეშმარიტ თავისუფლებამდე დიდი და ეკლიანი გზაა გასავლელი. ამ გზაზე არანაირი სასწაულის იმედად არ უნდა დავრჩეთ.

მაშ, რა ვქნათ?

ჯერ თვალი გადავავლოთ რეალურ მდგომარეობას.

დემოგრაფიული კრიზისი. მოსახლეობის მატების ტემპის შემცირების ტენდენცია შესამჩნევი გახდა 1991 წლიდან. თუ 1990 წელს მოსახლეობის მატება იყო 8,6 ყოველ 1000 მოსახლეზე, 1993 წელს იგი 2,2 ერთეულამდე დაეცა, (სოციალური და ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მონაცემები). თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს გენოფონდი შეიძლება სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. შობადობა 1993 წელს 1990 წლის დონის 66,4 პროცენტამდე შემცირდა. გარდაცვლილთა რაოდენობა, შესაბამისად, 108,3, ბავშვთა სიკვდილიანობა 48 პროცენტამდე გაიზარდა.

სოციალური კრიზისი. მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები, რაც გამოიწვია რესპუბლიკის ეკონომიკის თანდათანობითმა მოშლამ.

ხორცის, თევზის, კვერცხის მოხმარება 1993 წლის პირველ და მეორე კვარტლის მონაცემებით, 1989 წელთან შედარებით ორჯერ შემცირდა; რძისა და რძის პროდუქტებისა —. სამჯერ; შაქრისა — ორჯერ; 1993 წლის პირველ და მეორე კვარტლის მონაცემებით, მეცხოველეობის პროდუქტების მოხმარებამ საქართველოში საერთაშორისო ფიზიოლოგიური ნორმის 25-30 პროცენტი შეადგინა. 1993 წლის მესამე-მეოთხე და 1994 წლის პირველი კვარტლის მონაცემები დამუშავებული არ არის, მაგრამ აშკარაა, რომ ერთი წლის განმავლობაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. წინასწარი შეფასების საფუძველზე მოსახლეობის 90-95 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

1994 წლის თებერვლის მონაცემებით საქართველოში 140 ათასზე მეტი უმუშევარია. ამ რაოდენობას ემატება უხელფასო, იძულებით შვებულებაში მყოფი [illegible] და გაჩერებული საწარმოების თანამშრომელთა საკმაოდ დიდი რიცხვი. აბსოლუტური ციფრის დადგენა ძნელია, რადგან სურათი ძალზე სწრაფად იცვლება. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ფაქტორი, რომელსაც ვუწოდებთ ფარულ უმუშევრობას. თუ უმრავლესი საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას შევუდარებთ ცხოვრებისათვის აუცილებელ მინიმუმს, ისინი მთლიანად ფარულ უმუშევართა კატეგორიაში აღმოჩნდებიან.

უმუშევრობამ და ცხოვრების დონის მკვეთრმა დაკნინებამ გამოიწვია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ემიგრაციის მკვეთრი ზრდა, ემიგრირებულები მოსახლეობის ყველაზე აქტიური ფენის წარმომადგენლები არიან. შრომითი რესურსების ამ მზარდი დანაკარგის რაოდენობა ვერ დგინდება თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი მიგრაცია არანაირად არ ფიქსირდება არც შსს ორგანოებში და არც სამუშაო ადგილებზე.

კრიზისი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. პრაქტიკულად პარალიზებულია სასწრაფო დახმარების სამსახური. მრავალი ავადმყოფი უარს ამბობს სტაციონარში მკურნალობაზე სამისო პირობების არარსებობის გამო. განსაკუთრებით გართულებულია მოსახლეობის მომარაგება მედიკამენტებით. საქართველოს მოთხოვნა მედიკამენტებზე კმაყოფილდება ძირითადად საქველმოქმედო ჰუმანური დახმარებით. კვების პროდუქტების დანაკლისს შევსება, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, ძირითადად პურით ხდება. ეს კი, ცნობილია, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის, განსაკუთრებით, ბავშვების ჯანმრთელობაზე.

ცილების, ვიტამინების დეფიციტი, ფეხმძიმეთა არასაკმარისი კვება ახალშობილებში იწვევს რაქიტის, დიათეზისა და ანემიის შემთხვევების მკვეთრ ზრდას. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით ყოველ 1000 ახალშობილიდან 103 ავადმყოფია, 10 — თანდაყოლილი ანომალიებით.

სახსრების უქმარისობის გამო არ ინერგება ახალი ტექნოლოგიები. დახურვის გზაზეა მედიცინის მთელი მიმართულებანი.

მზარდი უმუშევრობა და ხალხის გაღატაკება კი ნოყიერი ნიადაგია **დანაშაულობის ზრდისათვის.** ამერიკელი სოციოლოგების მონაცემებით, უმუშევრობის 1 პროცენტით ზრდა ავტომატურად ზრდის მკვლელობათა რიცხვს 650 ერთეულით; თვითმკვლელობათა რიცხვს — 850 ერთეულით; ფსიქიატრიულ საავადმყოფოების პაციენტების რიცხვს — 4 ათასი ადამიანით; ხოლო საპყრობილეს ემატება 3 ათასამდე დამნაშავე. ასეთია სტატისტიკა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში.

ქართული ენა „გამდიდრდა" ისეთი ნეოლოგიზმით, როგორიც არის „დაყაჩაღება". ეს ტერმინი გულისხმობს შეიარაღებულ ძარცვას სამხედროფორმიანი პირების მიერ. უმძიმესი კრიმინოგენული სიტუაცია და დამნაშავეთა სამყაროს გაახალგაზრდავება მოწმობს, რომ ჩვენი საზოგადოების მრავალი წევრი მორალის ნორმების დარღვევით ცხოვრობს. დამნაშავეობის ზრდა მოსახლეობის სიკვდილიანობის ზრდისა და, მაშასადამე, მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია. თუ გავიხსენებთ, რომ მოკლულთა დიდ ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ, სურათი უფრო დამძიმდება.

ძარცვა, ყაჩაღობა, ტერორისტული აქტები მკვეთრად ზრდის სოციალურ დაძაბულობას, აძლიერებს იმ სტრესულ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება მოსახლეობა. ადამიანებს აღარ სჯერათ ხვალინდელი დღის.

უმძიმესი სოციალური სენია **ნარკომანია.** ნარკომანების ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელია. ხელთა გვაქვს სოციალური გამოკვლევის შედეგები, რომელიც მოაწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა პროფესორ ანზორ გაბიანის ხელმძღვანელობით.

გამოჰკითხეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 936 სტუდენტი. კითხვაზე — იცით თუ არა, რომ თქვენი მეგობარ-ამხანაგები, ნაცნობები დანამდვილებით ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებას? — დადებითი პასუხი გასცა რესპონდენტების 45,2 პროცენტმა, კითხვას — გქონიათ თუ არა პირადად თქვენ შემთხვევა გაგესინჯათ ნარკოტიკული ნივთიერება? — დადებითად უპასუხა 25,2 პროცენტმა. გაირკვა, რომ ძალზე ხშირად გაუსინჯია 16,2 პროცენტს, ხშირად —8,9; არც თუ ხშირად — 13,6; იშვიათად — 20,4; ძალზე იშვიათად — 40,9 პროცენტს.

ვიცე-პრემიერ ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, დაახლოებით 200 ათასი ადამიანი რეგულარულად იყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს. მათგან 100 ათასი ადამიანი დაავადებული ნარკომანია. 1994 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირებული იყო საქართველოში ნარკოტიკების შემოტანის 290 შემთხვევა. ფაქტობრივად ეს რეალური ოდენობის მხოლოდ 10 პროცენტია.

ნარკომანთა უდიდესი ნაწილი ახალგაზრდაა, ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც უნდა იტვირთოს ერის მომავალი.

სამოცდაათიან წლებში ნორმად ითვლებოდა თუ ფსიქიკურად დაავადებულთა რიცხვი არ აღემატებოდა მოსახლეობის 1 პროცენტს, ამჟამად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით რეგისტრირებულია 65.910 ადამიანი, მათ შორის 4.072 ბავშვი, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ფსიქიკური დაავადება. ამ ზღურბლის ზევით იწყება ერის ინტელექტუალური პოტენციალის მკვეთრი დაცემა.

ფსიქიკურ დაავადებას იწვევს კრიზისული სიტუაციის გაღრმავება და საზოგადოებაზე სტრესების ხანგრძლივი და მდგრადი ზემოქმედება. რეგისტრირებულ ფსიქიკურად დაავადებულთა თითქმის 80 პროცენტი ნარკომანები, ლოთები, ტოქსიკომანები და დებილები არიან.

ინტელექტი, საუბედუროდ, აღარ არის საზოგადოების მოთხოვნილება, ხალხის დიდი ნაწილი სულიერ ცხოვრებას სწყდება. შექმნილი ვაკუუმის შევსება ხდება მასობრივი სამომხმარებლო კულტურითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებული განწყობით, როცა კრიზისული მოვლენების გაშუქება ხდება არა მათი აღმოფხვრის, არამედ აჟიოტაჟის ატეხვისა და პოლიტიკური სპეკულაციის მიზნით. აქვე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის სრული პოლიტიზება, რომლითაც ჩვენ ასე ვამაყობთ, დამახასიათებელია მხოლოდ არაჯანსაღი, განუვითარებელი საზოგადოებისათვის.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მოგვარება არ არის დამოკიდებული ერთი რომელიმე გეგმის რეალიზებაზე. კვლავ და კვლავ ვიმეორებთ, რომ საჭიროა კომპლექსური მიდგომა. პარლამენტის კრიტიკული პათოსი კი, სამწუხაროდ, დანაწევრებულია, ცალკეული დარგებითა და სამინისტროებით შემოიფარგლება.

აღმასრულებელ ხელისუფლებას უკვე აქვს ქვეყანაში კრიზისის დაძლევის ფუნდამენტური პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა პარამეტრი, პირველ რიგში, ეკონომიკური და, აგრეთვე, ის პრობლემები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი. ეს პროგრამა გაანგარიშებულია 2000 წლამდე, დაამტკიცა სახელმწიფოს მეთაურმა და მინისტრთა კაბინეტმა სამოქმედოდ მიიღო. ახლა, ალბათ, სამინისტროების, უწყებებისა და რეგიონული მართვის სტრუქტურების ჯერია პრაქტიკული ამოცანების შესაბამისად ამ პროგრამის ხორცშესხმა.

მაგრამ ჩვენი იმპროვიზებული სოციოლოგიური გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ცოტა რამ თუ იცის ამ იმედისმომცემი პროგრამის შესახებ, რომლითაც, რატომღაც არ დაინტერესდნენ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თუმცა კრიზისი მათი ერთ-ერთი მთავარი თემაა.

ასეთი სახელმწიფოებრივი დოკუმენტი აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოების ინტერესის საგანი თუნდაც იმიტომ, რომ არც ერთ პროგრამას განხორციელება არ უწერია, თუ იგი არ ეყრდნობა შესაბამის საზოგადოებრივ განწყობასა და გაგებას, და, რაც მთავარია, პერსონალური პასუხისმგებლობის შეგნებას.

მხოლოდ ერის თვითგადარჩენისაკენ მისწრაფება გამოგვიყვანს მძიმე მდგომარეობიდან და კიდევ — მისი ინტელექტი და თვითორგანიზებულობა.

გიორგი კახნიაშვილი.

კონკურსი

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის — 1,0 საშტ. ერთ;
2. კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ- თანამშრომლის — 1,0 საშტ. ერთ;
3. რენტგენო-რადიოლოგიური განყოფილების კომპიუტერული ტომოგრაფიის ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის — 1,0 საშტ. ერთ;
4. რენტგენო-რადიოლოგიური განყოფილების რენტგენოლოგიური ჯგუფის მეცნიერ-თანამშრომლის — 1,0 საშტ. ერთ;
5. რენტგენო-რადიოლოგიური განყოფილების თერმოგრაფიის ჯგუფის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის — 1,0 საშტ. ერთ;
6. ნევროლოგიური ელექტროდიაგნოსტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის — 1,0 საშტ. ერთ.

საბუთების მიღების ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან 1 თვე.

კონკურსში დაიშვებიან ქ. თბილისში მცხოვრებნი.

მისამართი: 380012, თბილისი,
თევდორე მღვდლის ქ. № 13.
ტელ: 99-34-88, 35-45-16.

შანსი — PACKTRAVEL

მოგზაურობა და დ[illegible]!

იტალია
მილანი, ვენეცია, ფლორენცია, რომი

ვეზუვიო ტური
რომი, ნეაპოლი, სორენტო

Lido di Jesolo
ვენეცია, მილანი, ვერსილია, რომი

ვერსილია
მილანი, ვერსილია, რომი

ROME

მწვანე კუნძული
კუნძული ისკია, მილანი, რომი

Sole Mio
რომი, ნეაპოლი, სორენტო

In Viro Veritas

ტელ: 344291 347709

INTERCOLLEGE
CYPRUS: NICOSIA, LIMASSOL, LARNACA

ახალგაზრდებო, თქვენ გეძლევათ იშვიათი შესაძლებლობა ყველაზე იაფად მიიღოთ უმაღლესი განათლება, დაეუფლოთ სასურველ სპეციალობას საზღვარგარეთ.

კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად პრესტიჟული, თანამედროვე სპეციალობების დასაუფლებლად შეგიძლიათ აირჩიოთ:

* ბიზნესის მართვა (საბანკო საქმე, ბუღალტერია)
* იურისპრუდენცია
* კომპიუტერებისა და ინფორმატიკის მართვა
* სასტუმროს, ტურიზმის და მოგზაურობის მენეჯერი
* ტელერადიოპროდუქცია
* მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (გაზეთი, რეკლამა, ფოტო)
* თავისუფალი ხელოვნება (ფსიქოლოგია და ადამიანის მართვა)
* დიზაინი

სწავლა ინგლისურ ენაზეა. მათ, ვინც სუსტად ფლობს ამ ენას, საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტშივე გაიარონ ენის შესწავლის გაძლიერებული კურსი. სურვილის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სწავლა განაგრძოს ინგლისის, ჰოლანდიის, აშშ უნივერსიტეტებში.

სწავლის ფასი $3.500 წელიწადში. წარჩინებულ სტუდენტებს ეს გადასახადი უნახევრდებათ ($1.700). ეს შეღავათი მათ შეუნარჩუნდებათ აღნიშნული ქვეყნების უნივერსიტეტებში გადასვლის შემთხვევაშიც. ეს ნიშნავს, რომ კვიპროსის უნივერსიტეტიდან გადასულ სტუდენტს სწავლა 8-10-ჯერ იაფი უჯდება.

კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტი აკრედიტებულია დასავლეთ ევროპის და აშშ წამყვან უნივერსიტეტებში და მის მიერ გაცემული დიპლომის მფლობელს უფლება აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იმუშაოს.

ყურადღება! ამავე უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯი სასწავლებლად იწვევს საშუალო სკოლის 11-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებს. სწავლება სპეციალიზებულია (ტექნიკური მეცნიერება, მარკეტინგი, უცხო ენა) არის ზოგადსაგანმანათლებლო კლასებიც.

საბუთების შემოტანა სასწრაფოა!

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ანაგის ქ. N7, შრომის სასახლე, მე-15 სართული.

ცნობებისათვის დარეკეთ ☎ 38-04-82; 39-48-28; 37-58-90.

კვიპროსის უნივერსიტეტ-ინტერკოლეჯის წარმომადგენლობა.

საქართველოს რესპუბლიკის
„საქბინსოცბანკი"

1994 წლის 1 ივნისიდან იწყებს სავალუტო ანაბრების მიღებას მყარი გარანტიებით შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

სამი თვით — თვიური 3 %-ის დარიცხვით
ექვსი თვით — თვიური 4 %-ის დარიცხვით
ერთი წლით — თვიური 5 %-ის დარიცხვით

„საქბინსოცბანკი" თქვენი სავალუტო ანაბრების მყარი გარანტია თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით და მაღალკვალიფიციური პროფესიული მომზადების კადრებით.

სავალუტო ანაბრების გახსნის დროს აუცილებელია თან იქონიოთ პასპორტი ან მისი შემცვლელი დოკუმენტი.

ქალბატონებო და ბატონებო! გახდით ჩვენი კლიენტები და თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით მაღალი ხარისხის საბანკო მომსახურებით და თქვენი ანაბრების დაცვით, კონფიდენციალობის და მითითებული საპროცენტო დანამატით დაბრუნების გარანტიით.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი.
პუშკინის ქ. № 3. ტელეფონები: 98-32-62,
98-30-68.

English Language Center

აცხადებს მიღებას ინგლისური ენის შემსწავლელ ინტენსიურ კურსზე!

მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი 7 კვირის განმავლობაში, უახლესი სახელმძღვანელოებისა და მეთოდების გამოყენებით მოგამზადებთ TOEFL და Pre-TOEFL-ისთვის.
ასევე გთავაზობთ სალაპარაკო ინგლისურის შესწავლის საუკეთესო შესაძლებლობას.
მეცადინეობა გაიმართება
კვირაში 5-ჯერ, 3-3 საათის განმავლობაში.
(მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან").
ცნობებისთვის დარეკეთ ყოველდღე
11-დან — 19 საათამდე.
ტელ: 95-61-23.

დავაზღვიოთ, რათა დაზღვეული ვიყოთ!

მიმართვა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ყველა მუშაკს, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის გამგეობებს, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს

ძვირფასო მეგობრებო! საქართველოსთვის ამ მეტად მძიმე, დიდად პასუხსაგებ ჟამს გონიერებამ, საზრიანობამ და ერთიანობამ უნდა დაგვაძლევინოს ეკონომიკური და სულიერი კრიზისი, უზრუნველყოს მატერიალური და სასიცოცხლო ღირებულებათა გარანტირებული დაცვა.

მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა საკუთრებასთან და შრომასთან უნდა შეაკავშიროს ადამიანები, უნდა გამოუმუშაოს მათ ნაჯაფ-ნაღვაწის სადაზღვევო დაცვის ეკონომიკური პასუხისმგებლობა.

წლების მანძილზე საერთო-სახალხო საკუთრების ბატონობამ გამოიწვია საკუთრებისადმი ადამიანთა გაუცხოება, ინდიფერენტიზმი. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა მეურნეში, მოქალაქეში ჩამოყალიბებულიყო მაღალი სადაზღვევო კულტურა, რისი შედეგიც არის, რომ დღეს მილიარდობით კუპონის ღირებულების ქონება სადაზღვევო დაცვის გარეშეა დარჩენილი.

დღევანდელ პირობებში სულ უფრო იზრდება ბუნებრივი და ეკონომიკური რისკი, ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, რაც ზრდის სტიქიური მოვლენების სიხშირესა და მასშტაბებს. ასეთ პირობებში მთელი ენერგიით უნდა ვიზრუნოთ სადაზღვევო ეკონომიკის შექმნისათვის, რათა მოულოდნელ უბედურებას გულხელდაკრეფილები სხვათა მოწყალების იმედად დარჩენილები არ შევეგებოთ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიამ, საბჭოთა კავშირის დაშლით მიღებული სავალალო მემკვიდრეობისა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად არა მარტო შეინარჩუნა ეკონომიკური წონასწორობა, არამედ ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სხვათა თანადგომისა და მხარდაჭერის აღმოუჩენლად დიდი მატერიალური დახმარება გაუწია სტიქიით დაზარალებულ აჭარის, აფხაზეთის, სვანეთის რეგიონებს, კატასტროფული მიწისძვრებით დაზარალებულ მოსახლეობას, სახალხო მეურნეობის დაზღვეულ ობიექტებს.

ბოლო ხანს კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის ახალ სახეობათა ოპტიმალური პირობები, გადამუშავდა დაზღვევის ყველა არსებული წესი და ჩამოყალიბდა მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის დარგებისათვის (საკუთრების ფორმების მიუხედავად) ხელმისაწვდომი სადაზღვევო პირობები.

სამი წელიწადია დაინერგა გლეხური და ფერმერული მეურნეობების ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების დაზღვევა.

მსოფლიოში პირველად საქართველოშია შემოღებული დედის დაზღვევა შვილებისთვის მეტად ხელმისაწვდომ ტარიფებით.

სადაზღვევო მომსახურების განვითარებისათვის მუშაობა ინტენსიურად გრძელდება.

სადაზღვევო ეკონომიკის განვითარებისთვის, მატერიალური სიმდიდრის, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადაზღვევო დაცვისათვის მრავალი ღონისძიება დასახა რესპუბლიკის მთავრობამ. სახელმწიფო დაზღვევის კომპანიის გამგეობამ მოამზადა დაზღვევის შესახებ კანონის პროექტი, რომელსაც ამჟამად რესპუბლიკის პარლამენტი აზუსტებს და განიხილავს.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს სამთავრობო, საქალაქო და რაიონული მმართველობის ორგანოები, უწყებები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ დაზღვევის განვითარების პრობლემებს.

რესპუბლიკაში ამჟამად კერძო ინიციატივით შექმნილი მრავალი სადაზღვევო ორგანიზაციაა. ნებისმიერი მათგანი, ვინც კეთილსინდისიერად მოემსახურება ხალხს, მხარდაჭერის ღირსია.

მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მოსახლეობის დიდ ნაწილს, აგრეთვე რიგ სამინისტროებსა და უწყებებს მთლიანად არა აქვთ აღქმული და გათავისებული სადაზღვევო დაცვისადმი პირადი და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა, რის გამოც მილიარდობით კუპონის ღირებულების ქონება როგორც აღვნიშნეთ, დაუზღვეველი და დაუცველი რჩება.

ბოლო თვეებში რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ცეცხლმა შთანთქა სასწავლო და სახელმწიფო დაწესებულებათა ადმინისტრაციული შენობები. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი დაზღვეული არ ყოფილა. მოქალაქეები, მეურნეები, სამინისტროებსა და უწყებათა ხელმძღვანელებიც კი იქ მომჭირნეობენ და ყაირათობენ, სადაც ეს გამართლებული არ არის, დაუზღვეველს ტოვებენ დიდძალ მატერიალურ სიმდიდრეს და სავალალო შედეგსაც იმკიან.

სადაზღვევო დაცვის გაწირვით ფინანსების დაზოგვა საზოგადოებას ყოველთვის ზარალით მიუჯდება.

დავძლიოთ სადაზღვევო დაცვისადმი გულგრილობა და უყურადღებობა. შევითვისოთ ცივილიზებული მეურნის კულტურა, განვავითაროთ სადაზღვევო დაცვა, რათა გულხელდაკრეფილი არ შევხვდეთ სტიქიურ და სხვა მოულოდნელ მოვლენებს. ნუ დავივიწყებთ რუსთაველის სიბრძნეს: "კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი არ საკვირველია?"

ღმერთმა გვაშოროს ავი, მაგრამ თუ გვინდა, რომ ავისგან დაზღვეული ვიყოთ, უნდა დავეზღვიოთ და დავაზღვიოთ!

მიმართვა მიღებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის მუშაკთა რესპუბლიკურ კრებაზე.

ფირმა „დიმო"

გთავაზობთ მოგზაურობას მეღვარეთში,
ფასი 200 დოლარი,
ტელ: 39-31-17, 15 სთ-მდე,
29-23-55, 15 სთ შემდეგ.

გთავაზობთ!
უნაღდო ანგარიშსწორებით
საწერ და საბეჭდ ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ტელ: 38-91-64.

ინფორმაცია

გამოვიდა გაზეთი „ლაზიკა“

სენაკში გამოვიდა ახალი გაზეთი „ლაზიკა“, რომლის დამფუძნებელია მოქალაქეთა კავშირის სენაკის რაიონული ორგანიზაცია.

გაზეთი თვეში ორჯერ გამოვა. მისი მთავარი რედაქტორია რევაზ გრიგოლავა.

რედაქცია მკითხველებს ჰპირდება, რომ გაზეთი იქნება მათი მეგობარი, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი. მის ფურცლებზე სისტემატურად გაშუქდება მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის საქმიანობა, რესპუბლიკისა და რაიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები, დევნილ-ხიზანთა პრობლემები. ობიექტურად აისახება დღევანდელი ვითარება. გაზეთი დიდ ადგილს დაუთმობს სენაკელ კომერსანტთა და ბიზნესმენთა საწარმო-დაწესებულებათა საქმიანობას.

იოსებ გოგებია,
„სრ“ საკ. კორ.

„ეს ხომ ომია!“

სასიკვდილოდ გამზადებულ ქართველთა დედოფალს აღმოხდება: „ეს ხომ ომია, წმინდა ომი თავისუფლების, ერის გამოხსნის, გადარჩენის, დაცვა მამულის“.

წამებული დედოფლის სახე გააცოცხლა გორის სახელმწიფო თეატრმა, რომელმაც თავის სცენაზე განახორციელა გამოჩენილი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის პიესის „ქეთევანის“ დადგმა.

პრემიერა გაიმართა 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ეს ერთდროულად სეზონის გახსნაც იყო: შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ მწვავე ენერგეტიკული კრიზისის გამო, თეატრს აღარ უმუშავია.

სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა ალექსი ჯაყელმა, მხატვარია ვანო არჩვაძე. მთავარი როლები შეასრულ[illegible] რესპუბლიკის სახალ[illegible]რტისტმა სერგო ტატალ[illegible]ლმა, რესპუბლიკის [illegible]სახურებულმა არტისტმა დარეჯან ჭამაურმა, მსახიობებმა — დალი ნათელაშვილმა, გია მაყაშვილმა, ზაზა ზაზაშვილმა და სხვებმა.

გურამ ვაშაკიძე.
„სრ“ საკ. კორ.

იპარავენ... ინფორმაციას

3 ივნისს, ღამით, თბილისის საბაჟოს ადმინისტრაციის შენობაში, რომელიც აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარეობს, მოხდა ქურდობა. უცნობებმა, რომლებმაც ფანჯრის ლითონის გისოსები შეამტვრიეს, შეაღწიეს ერთ-ერთ სამსახურო ოთახში, სადაც კომპიუტერია. კომპიუტერში ჩადებული იყო მთელი ინფორმაცია უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ამ სამსახურის მეშვეობით გატანილი ტვირთის რაოდენობისა. როგორც საბაჟოს უფროსმა რევაზ პოხოხელიძემ თქვა, დაკარგული ინფორმაცია შეიძლება აღდგეს მხოლოდ მათ ხელთ არსებული დოკუმენტების მეშვეობით... აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც დედაქალაქის სამგორის რაიგანყოფილების პოლიცია აწარმოებს.

თენგიზ ჩხიკვაძე.

აირჩიეს ახალი ხელმძღვანელობა

3 ივნისს ჩატარდა საქართველოს მშრომელთა კომუნისტური პარტიის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს მშრომელთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ივანე წიკლაური. გაათავისუფლა შალვა ბერიანიძე ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან და გამოიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობიდან.

ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩიეს პანტელეიმონ გიორგაძე, მეორე მდივნად — ვილჰელმ მახარაძე, მდივნად — მანანა ქიკანიშვილი.

ექო

კვლავ ჯიხურების შესახებ

რედაქციას უპასუხებს ქალაქ თბილისის მერიის ფირმა „დიზაინი და კეთილმოწყობა“

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა სათაურით „რატომ იცინის კურდღელი?“.

რეპლიკაში აღნიშნულია, რომ გაზეთის კრიტიკული პუბლიკაციის მიუხედავად („სრ“ №57) თბილისის მერია არ ასრულებს თავისსავე დადგენილებას ქალაქის ცენტრალური მაგისტრალებიდან სავაჭრო ჯიხურების აღების თაობაზე, და რომ რუსთაველის გამზირზე უნივერმაღ „თბილისის“ მიმდებარედ სავაჭრო რიგი მოეწყო სწორედ მერიის დადგენილების მიღების შემდგომ.

გვსურს უღრმესი მადლობა გადავუხადოთ გაზეთის რედაქციას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენს ამ მეტად მწვავე საქალაქო პრობლემების მიმართ. ალბათ, ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურისა და რაიონული გამგეობების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად თუ გახდება შესაძლებელი ცენტრალურმა მაგისტრალებმა და მოედნებმა მიიღოს ის სახე, რომელიც თანამედროვე დიდ ქალაქს შეეფერება. უდაოდ, ამის შედეგია, რომ დღეს სრულიად განთავისუფლდა ქაოტურად მიმობნეული უსახური ჯიხურებისაგან რკინიგზის ცენტრალური ვაგზლისა და უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროს“ წინ მდებარე მოედნები. მუშაობას ამ მიმართულებით დღეს ყველა რაიონული გამგეობა ახორციელებს.

რაც შეეხება თქვენს კრიტიკულ შენიშვნებს, გვინდა გაცნობოთ, რომ მერიის დადგენილებით ცენტრალურ მაგისტრალებსა და მოედნებზე აიკრძალა ახალი ჯიხურების დადგმა, ქალაქის არქიტექტურისა და ქალაქთმგეგმარების მთავარ სამმართველოს კი დაევალა წარმოედგინა წინადადებები ამ მაგისტრალებზე ადრე ჩარიგებული ჯიხურების დატოვების მიზანშეწონილობისა და მათი ახალი, თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგებით შეცვლის თაობაზე.

მერია არავითარ შემთხვევაში არ უცხადებს ბრძოლას არც მცირე ბიზნესს და არც იმ ხალხს, ვინც დღეს ამ საქმიანობას ეწევა. პირიქით, გადაწყვეტილი გვაქვს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უსისტემოდ მიმობნეული ჯიხურების ნაცვლად მოვაწყოთ თანამედროვე სავაჭრო რიგები, ისე, როგორც გარდამავალ პერიოდში ეს ყველა სხვა დიდ ქალაქშია (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, კიევი და სხვა). სწორედ ამ მიზნით დაამუშავა „დიზაინის“ სამმართველომ მეტროების — „დელისისა“ და „ისნის“, უნივერმაღ „თბილისის“, კინოს და ჩაის სახლების, ფილარმონიის მიმდებარე და ქალაქის სხვა ტერიტორიაზე სავაჭრო რიგების მოწყობის პროექტები. ამ ღონისძიებებით სურვილი გვაქვს ორგანიზებული და შესაფერისი იერსახის ვაჭრობა დავუპირისპიროთ ყოვლად დაუშვებელ, ლამის ქუჩაში, ტროტუარებზე დაწყობილი საქონლით ვაჭრობას, ამის მაგალითები კი, დაგვეთანხმებით, ქალაქში, სამწუხაროდ, კვლავ ბევრია.

რაც შეეხება რუსთაველის გამზირზე მოწყობილ სავაჭრო რიგს, ის, სამწუხაროდ, მერიისა არ არის. მერიამ დღემდე ვერ მოახერხა თავად მოეწყო სავაჭრო რიგები და შედარებით დაბალ საიჯარო ფასებში გადაეცა მსურველებისათვის. ეს საქალაქო ბიუჯეტს, რომელიც მწვავე დეფიციტს განიცდის, დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალებას მისცემდა.

ზურაბ მგალობლიშვილი,
ქალაქ თბილისის მერიის ფირმა „დიზაინი და კეთილმოწყობის“ დირექტორი.

სურათზე: ახალი ტიპური ჯიხურები, რომელთა ჩადგმა უკვე დაიწყო.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მარადიული თანამედროვენი

„ერი შაერთებული გენიოსია...“

ვაჟა-ფშაველას „ფაუსტური“ პარადიგმები

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე რა შეიძლება იმაზე მეტი ითქვას, ან დაიწეროს, რაც უკვე თქმულა და დაწერილა?

გენიოსის უკვდავება სწორედ ის არის, რომ მისი სული მარადიულია, იგი არასდროს არ ქრება მომავალ თაობათა ხსოვნაში.

ვაჟა-ფშაველა ასეთ გენიოსთა კატეგორიას განეკუთვნება: უსაზღვროა მისი პოეტური სტრიქონების ძალა და ეშხი, ასევე უსაზღვროა პოეტის „ფაუსტური“ პარადიგმები ადამიანის რაობაზე.

რამდენჯერაც უნდა გადაიკითხო ვაჟას პოეტური თუ პუბლიცისტური ნაწარმოებები, მაინც გინდება მისი ხელახალი წაკითხვის სურვილი.

ვაჟას პოეზია ბუნების სუნთქვაა, ხოლო პუბლიცისტური შედევრები ფილოსოფიური აზროვნების უძირო ოკეანე. მის შემოქმედებაში მზის სხივებივით იფრქვევა ადამიანური არსების ყველა ასპექტი.

თუ ღრმად გავიზიარებთ პოეტის თვალსაზრისს ამ ქვეყნად ადამიანის როლსა და დანიშნულებაზე, არ შეიძლება გონებაში არ გაცხადდეს ვაჟას აზროვნების კიდევ ერთი უკვდავი თვისება — წარსულის თანადროულობა...

ვაჟა ჩვენს ცნობიერებაში ცოცხალია, იგი ჩვენს გვერდით დგას და თანაბრად იზიარებს დღევანდელი საქართველოს ჭირ-ვარამს.

მაშ, ახლ! მივყვეთ წარმოსახვას და თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ გადავფურცლოთ პოეტის შემოქმედების პუბლიცისტური სტრიქონები და დავრწმუნდებით, რომ პოეტი გუშინ ის იყო, რაც დღეს არის...

ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილებში „ზოგი რამ ფიქრებიდან“, „საახალწლო ფიქრები“ და სხვ., „ფაუსტური ადამიანის“ დასრულებულ, კოლორიტულ სახეს იძლევა.

ვაჟას შეხედულება მომავლის ადამიანზე საოცარი სიცხადით შეიმეცნება; იგი პირდაპირ სვამს კითხვას და თვითონვე უპასუხებს: „კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისაგან არაფერს მოელის, გადაუწყვეტია იმედი, ცოცხალმკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არ არის“.

ვაჟა ფილოსოფიურად ჭვრეტს იმდროინდელი საქართველოს ყოფას და მომავლის ადამიანის უიმედობას ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის „ცუღლუტობად მიიჩნევს“.

პოეტი ადამიანურ ღირსებას, მის დიდბუნებოვნებასა და გამჭრიახობას ერის სიძლიერეში ხედავს. ადამიანი ერის ნაწილია, იგი უნდა იყოს ჯანსაღი და ძლიერი და არა დაუძლურებული, უნიათო და უიმედო: „ვინც თავის თავს არ იცნობს, თავისი ძალღონე არ შეუგნია, იგი ერს როგორ იცნობს, მის ძლიერებას, ან სისუსტეს როგორ შეიგნებს?!“

ვაჟა ადამიანის ქმედებისა და ხასიათის გააზრებაში უფრო კონკრეტულია და აღნიშნავს, რომ ყველა მოკვდავს საკუთარი მტკიცე აზრი უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ საგნის, ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისა და გადაწყვეტის დროს. იგი მიიჩნევს, რომ ვიდრე ადამიანი რომელიმე საგანზე რაიმეს იტყოდეს, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს თავისი ობიექტური აზრი დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის.“

როგორც პოეტი ამბობს, საგნის ღრმად შეუსწავლელად ადამიანი უნდა ერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას: „ზოგს ჰგონია „მე ყველაფერი ვიცი“... მაშ რად მომივიდა თავში ეს ფიქრი, თუ ნამდვილი არ არის?!. რაკი „მომივიდა ფიქრად“, მაშინ უნდა ვთქვა ჩემი სათქმელი- „სიმართლის სათქმელად და დასამკვიდრებლად“. შემდეგ ვაჟა ირონიულად განაგრძობს: „დიახ, „მომივიდა ფიქრადო“, ამან ძალიან გამალა ჩვენში ფეხები; მოუვიდა ერთს ფიქრად პოეტი უნდა ვიყოო და გახდა კიდეც; მოუვიდა მეორეს ფიქრად გაისტორიკოსება და გაისტორიკოსდა“ და ა. შ., „...ფიქრი არ კმარა მარტო, ფიქრს უნარი უნდა შესწევდეს“. პოეტი ქარაფშუტა ადამიანს არ ინდობს და ხმამაღლა აცხადებს: „გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში ყველა რეგვენს შეუძლია ინავარდოს“. ეს მცირე დოზაა, უფრო მკვახედაც შეგვაგონებს: „ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა ადამიანი საკუთარი აზრის „ფიქრად მოსვლას“ სხვას გადასცემს და „მე“ იქცევა „სხვად“. ამას პოეტი „ფიქრის ჩაძახებას“ უწოდებს. ეს კაცი, ე. ი. „სხვად“ ქცეული ადამიანი, ბრმა იარაღი ხდება და, ნებსით თუ უნებლიედ, უარეს ქმედებას სჩადის, ვიდრე მისი ორეული.

„ეს სენი — „ჩაძახებული ფიქრი“ — ამბობს ვაჟა, — ყველაზე დიდი უბედურებაა ადამიანთა ურთიერთობებში. თუ ქვეყნისთვის სასიკეთო რამ გინდა, მაშინ „უნდა მიაპყრა. შენი ჭკუა და გონება სალ აზრს, როდა საჭიროა „სხვა ფიქრი?“ შემდეგ: „თუ ქვეყნისათვის ზრუნვა გინდა, საქვეყნო საქმე აკეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანს იყოს საქვეყნო; ქაიხოსრო ქვეყანა არ არის და არც სესია, ბესია წარმოადგენს საზოგადოებას“.

დღევანდელობას კარგად ესადაგება ვაჟას სენტენცია ზოგიერთი პარლამენტარის თუთიყუშივით ერთსა და იმავეს ძახილს, გაუთავებელ კამათს, „პრეზიდენტად რომელი აჯობებს, სესია თუ ბესია? ეს საქვეყნო საქმეა და ქვეყანამ და ხალხმა უნდა გადაწყვიტოს“, და არა „ჩაძახებულ ფიქრთა საკრებულომ“.

რესპუბლიკის პარლამენტის ყოველდღიურ საქმიანობასთან მიმართებაში უფრო კონკრეტულად ჟღერს ვაჟას „ფაუსტური“ პარადიგმა: „ნუ გგონიათ ეს „ფიქრმოსული“ და ეს „ფიქრჩაძახებული“, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბრბო იყოს უსწავლელი, უმეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს „ინტელიგენციას“ ეძახიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ ივარაუდეთ, რა აზრს შეიმუშავებს ამგვარი ინტელიგენცია თავისი ქვეყნის შესახებ, ან რა გზას აირჩევს სავალად? რა უნდა მოსთხოვო ასეთ განსწავლულთ,.. რომლებმაც არ იციან წარსული თავისი ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა, არ იცნობს მის გონებრივ აგებულებას, არ იცის საზოგადოდ რომ ვთქვათ, მისი სოციალური ყოფა-მდგომარეობა?! ამიტომ უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილის აზრს, მაშასადამე „ჩაძახებულის ფიქრს“ იმეორებს...“

დააკვირდით, ამ გენიალურ სტრიქონებს და დარწმუნდებით ზემოთ ნათქვამის სისწორეში, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი შემეცნებით თანამედროვეა...

პოეტი ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტად გვევლინება, ამ სიტყვის ნამდვილი და არა ყალბი გაგებით. იგი ინტერნაციონალისტია საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის საკითხში.

როგორც ვაჟა ამბობს, „...ერი შაერთებული გენიოსია... მას გარკვევით უნდა ესმოდეს თავისი მდგომარეობა, რა ლოგიკაა გამუდმებით თესავდე სიძულვილს მეზობელ ქვეყნებზე, შეთხზა ფაქტები ძაგებისა და ამით ჩარგო ერის გულში ის გრძნობა, რომელსაც შენ ელტვი... მაგრამ როდესაც ხალხი ყველაფერს ხედავს, სხეულითა და გულით გრძნობს რეალობას, მაშინ „განზრახ აზრების“ თესვა ამაო დროის დაკარგვაა, ნუთუ იმათ არა ჰსმენიათ ჯერ ხალხური ლექსი, თვით ერის სიმღერა — „სიყვარული არ იქნება ძალითა“, რომელიც შაიძლება ასე შევცვალოთ: „სიმძულვარეც არ იქნება ძალით..“

„ფიქრით მოსულთა“ კატეგორიის ადამიანების ყოფა-ქცევას პოეტი „ცხოველთა დამცველი საზოგადოების მისწრაფებას“ ადარებს. მას ებრალება ასეთი ხალხი და თვლის, რომ როგორც პირუტყვს სჭირდება დარწყულება, მოვლა-პატრონობა, ასევე სჭირდება მათ, ე. ი. „ფიქრით მოსულებს“, მოვლა და ყურადღება: „ასეთ ხალხს ჩვენ უნდა ვექმნეთ მცველად და პატრონადო“, — ასკვნის.

რას იტყვით, დამაფიქრებელი შეგონებაა ყველა ჩვენგანისათვის...

ვაჟა-ფშაველა კვლავ აღრმავებს თავის ფიქრებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და მეზობელ ერებთან დამოკიდებულების თაობაზე.

პოეტის აზრით, ქართველი ერი ისტორიულად თავისუფლების მოყვარე, „მხნელ-მთესველი ერია, მისი ძალ-ღონე დამოკიდებული იყო პურ-ღვინოზე და მათ მასაზრდოებელ დედამიწაზე“. როგორც პოეტი ამბობდა, დედამიწა დიდი საუნჯეა ერისათვის, „უტერიტორიოდ ერი ვერაფერი ერია“, მისი არსებობა მუდამ საფრთხის ქვეშაა. როგორც თევზი ვერ გაძლებს უწყლოდ, ისე ტერიტორიადაკარგული ერი უმწეოა და უიმედო.

ვაჟა ამბობდა: საქართველოს ხსნა მის ეკონომიკურ ძლიერებაშია, ფული, სიმდიდრეა საჭირო, რათა ქვეყანა ფეხზე წამოდგეს და იარსებოსო. პოეტი ქვეცნობიერად წარმოსახავს საქართველოს დღევანდელ მძიმე მდგომარეობას და კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით ისეთ მოსაზრებებს გვთავაზობს, რაც დღეს ყველაზე მეტად აქტუალურია.

საჭიროა, „ფიქრით მოსულნი“ კი არა, უკვე ფიქრიანი ხალხი, რომლებიც შექმნიან მოვაჭრეთა საზოგადოებას კომერციულ საწყისებზე. ვაჟა თითქმის პირდაპირ სვამს საკითხს მეწარმეთა კლასის ჩამოყალიბების თაობაზე. პოეტის აზრით, საჭიროა ქართველი კაცი შეძლებული, მდიდარი იყოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, თუ რა გზით მოიპოვებს იგი ამ პრივილეგიას — სიმდიდრეს.

ვაჟასთვის, ბუნებრივია, უცხოა დღევანდელი მეწარმისა თუ ბიზნესმენის ცნება, თუმცა მის ნააზრევში, ალბათ, ასეც იგულისხმება: „ვეცადნეთ ფულის შეძენას მხოლოდ ისე კი, რომ ჩვენი ეროვნული იდეალი არ წარვწყმიდოთ“. აქ პოეტი თავის სტიქიაშია და გვთავაზობს უაღრესად საგულისხმო ფილოსოფიურ გააზრებას ქვეყნის პროგრესზე.

პროგრესი სიმდიდრემ დაბადა და პროგრესმა წინ უნდა წამოსწიოს „იდეა სათნოებისა, ძმობისა, ერთობისა, ერთხმობისა და სიყვარულისა“.

ვაჟა-ფშაველა არც განათლებას ივიწყებს და თავის პუბლიცისტურ ნარკვევებში ბევრ საგულისხმო მოსაზრებას გვთავაზობს.

საქართველოს მომავალი განათლებულ ახალთაობას ეკუთვნის, „მომავალი ქვეყნისა იმაზეა დამოკიდებული, როგორიც შვილები ექმნებიან ჩვენს ქვეყანას, ისე წავა იმის საქმეც; უხეირონი იქნებიან — ქვეყნის ბედიც უხეიროდ ივლის და ხეირიანები იქნებიან, რა თქმა უნდა, ხეირიანად წაჰმართავენ ქვეყნის საქმეს“ (რა საუცხოო სახელმძღვანელო შეგონებაა დღევანდელობისათვის!).

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ვაჟა გულთამხილველის გონით ჭვრეტს და საზღვრავს მაშინდელი საქართველოს განათლების მდგომარეობას, რაც ძალზე ახლოსაა დღევანდელობასთან (იგულისხმება განათლების სისტემა). გული სტკივა, როცა მშობლები შვილს იმისათვის ასწავლიან, რომ „მოხელე“ გამოვიდესო. „ოჯახისათვის კარგი იქნება, თუ კი აღსაზრდელი ისეთ განათლებას მიიღებს, რომ შემდეგ „შემოსავლიან“ თანამდებობაზე მოხვდეს, ცხადია, ასეთი „ნასწავლი კაცი“ თავისთავსაც გამოადგება და მშობლებსაც. მშობელს, რომელიც კომერციული თვალით უყურებს შვილის განათლებას, ...ხალხის თვალში საკუთარი ძალა და ღირსება დაკარგული აქვს... ოღონდ კარგი ჯამაგირი აიღე ანდა „ჩინოვნიკი“ გერქვას, რა მნიშვნელობა აქვს, სწავლას, თუნდაც ინჩიც არ იცოდე და ბინჩიც. მხოლოდ თავის თავს არგე, „ჯანდაბას ქვეყანაც და მისი სატკივარიც“, — გულისტკივილით დასძენს პოეტი.

ისტორია მეორდება, სახელები იცვლება მხოლოდ: ვაჟასდროინდელი საქართველოს განათლების მდგომარეობა კვლავ მეორდება დღევანდელობაში უფრო ცუდი რეციდივებით...

საგულისხმოა, აგრეთვე ვაჟას შეხედულება პარტიებზე. მრავალპარტიულობა მაშინაც ყოფილა, როგორც პოეტი უწოდებს, „პარტიობანა“: „დღევანდელი პარტიობა სულ სხვა ჯურისაა, სრულიად სხვა იერისა და ფერისაა“. ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიობანა ყოველთვის გამოიწვევს უკიდურესობას (დღევანდელი ოპოზიცია!); „ვინ შექმნა ეს უკიდურესობა? — უსათუოდ მოწინააღმდეგე პარტიამ“.

ვაჟა-ფშაველა წინასწარმეტყველურად ბრძანებს: „ამ პარტიებს ვეძახი უპრინციპო, უაზროებს იმიტომ, რომ იმათში **საქვეყნო** აზრს ვერა ვხედავ და **საბანკო** კი ბევრია“ (ხაზგასმა ვაჟასია).

ვაჟას ამ სიტყვებში მრავალი რამ არის საგულისხმო დღევანდელი გადასახედიდან...

ვაჟა-ფშაველას „ფაუსტური“ პარადიგმები ფილოსოფიური ტრაქტატია ადამიანსა და ადამიანურობაზე, მასში დღევანდელობაა გაცხადებული.

გურამ მეტრეველი.

ხსოვნა

ავთანდილ გელოვანი

ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა ესტრადის შესანიშნავი მსახიობი და რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავთანდილ (ბაჩული) გიორგის ძე გელოვანი.

დაიბადა 1930 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ეს ის პერიოდია, როდესაც ინსტიტუტში ყალიბდება საესტრადო თეატრი და ორკესტრი. ამ თვითმოქმედ კოლექტივში გამოჩნდა პირველად ბაჩული გელოვანის ელვარე ნიჭი. იგი გამორჩეული კონფერანსიე გახდა და ერთბაშად მოიპოვა მაყურებელთა სიმპატია, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აღარ მოკლებია.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მიიწვიეს ა. გელოვანი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში ესტრადის მსახიობად, ხოლო 1955 წლიდან ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეროს“ წამყვანი სოლისტი გახდა, პარალელურად მუშაობდა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში, სადაც მან მრავალი საინტერესო სამეცნიერო ფილმის სცენარი შექმნა.

1961 წლიდან ავთანდილ გელოვანი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში ესტრადის რეჟისორად იწყებს მუშაობას. მისი ინიციატივითა და დაუღალავი მოღვაწეობით შეიქმნა დღემდე პოპულარული ანსამბლი „ორერა“, რომლისთვისაც თერთმეტი სხვადასხვა სახის საესტრადო შოუ-პროგრამა შექმნა. მის კალამს ეკუთვნის ორი სრულმეტრაჟიანი მუსიკალური ფილმის სცენარი და დადგმა, რომლებმაც ერთბაშად მიიქციეს ქართველი მაყურებლის ყურადღება.

1975 წელს ავთანდილ გელოვანი თენგიზ ჩანტლაძესთან ერთად აყალიბებს მინიატიურების სახელმწიფო თეატრს. იგი იყო ამ თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი, მთავარი რეჟისორი, თითქმის ყველა პიესის თანაავტორი. თეატრის მაშინდელ პოპულარობაში ცოტა როდია ავთანდილ გელოვანის დამსახურება.

1976 წლიდან ავთანდილ გელოვანი ბრუნდება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში საესტრადო სამმართველოს შემოქმედებით სახელოვნო მთავარ რეჟისორად, ხოლო შემდეგ — ფილარმონიის მთავარ რეჟისორად. აქ მუშაობის ათეული წლების მანძილზე ძნელად შეიძლება დავასახელოთ ისეთი მსახიობი, ჯგუფი, ანსამბლი, რომლის პროგრამის მომზადებაში თავისი დიდი წვლილი არ შეეტანოს ნიჭიერ რეჟისორს.

ავთანდილ გელოვანის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია მთელი ქართული საესტრადო ხელოვნებისათვის. ერთადერთ იმედად ისღა გვრჩება, რომ მისი შემოქმედების კვალი წარუშლელი იქნება ქართული ფილარმონიის და ესტრადის ისტორიაში.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; საქართველოს სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

ზაქარია ჩლაიძე

გარდაიცვალა სამონადირეო დარგის ცნობილი მოღვაწე, თვალსაჩინო ზოოლოგი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი ზაქარია ისიდორეს ძე ჩლაიძე.

დაიბადა 1919 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების დღიდანვე მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას ბუნების შესწავლის და დაცვის კეთილშობილურ საქმეს ახმარდა. ათი წელი იღვაწა თბილისის ზოოპარკში, შემდეგ — საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში.

1961 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკია. კავკასიური ჯიხვის მეცნიერულად შესწავლის მიზნით მრავალგზის მოიარა მთავარი კავკასიონის პიუხები. აქტიურად მონაწილეობდა „წითელი წიგნის“ შედგენაში.

1975 წლიდან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა, ხოლო 1980 წლიდან, სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ცალკე ჩამოყალიბების შემდეგ, ამ სამმართველოს უფროსი.

1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. უანგარო და თავდადებული შრომისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

შესანიშნავი მკვლევარისა და გულისხმიერი მეგობრის, კარგი მოქალაქისა და პიროვნების ზაქარია ჩლაიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

ჩოგანი

პირველი გამარჯვება

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი მატჩი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა [illegible] სტუმრად გამართა შვეიცარიელებთან და მძიმე გამარჯვება მოიპოვა 22:21. შეგახსენებთ, რომ სტარტზე ჩვენმა სპორტსმენებმა ლუქსემბურგში ფრედ ითამაშეს ამ ქვეყნის ნაკრებთან — 10:10.

ჯგუფური ტურნირის დასკვნით შეხვედრაში ქართველი მორაგბეები უმასპინძლებენ ლატვიელებს.

11 ივნისს — ნიგერიის გუნდთან...

როგორც გულშემატკივართათვის ცნობილია, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 11 ივნისს სტუმრად საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილესთან — ნიგერიის გუნდთან. ჩვენი გუნდი აფრიკაში ხვალ მიემგზავრება. მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ამ შეხვედრისათვის ნაკრებში მიიწვია: ირაკლი ზოიძე, იოსებ გრიშიკაშვილი, ბესიკ ბერაძე, ნუგზარ ლობჟანიძე, კახაბერ ცხადაძე, დიმიტრი კუდინოვი, გია ჯიშკარიანი, გიორგი ნემსაძე, გელა ინალიშვილი, გოჩა ჯამარაული, დავით ჯანაშია, რევაზ, შოთა და არჩილ არველაძეები. მაინის ფრანკფურტში მათ შეუერთდებიან მურთაზ შელია და გიორგი ქინქლაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოება „მოზარდის“
იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1994/95 სასწავლო წლისათვის

I. იურიდიული ფაკულტეტის დღისა და საღამოს განყოფილებებზე სპეციალობით სამართალმცოდნეობა

სავალდებულო იურიდიული დისციპლინების გარდა, სტუდენტები თანამედროვე ამერიკული მეთოდებით დამუშავებული ტრენინგების მეშვეობით შეისწავლიან: ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიას, ბრალდებულის ფსიქოლოგიას, დამნაშავის ფსიქოლოგიას, არასრულწლოვანი დამნაშავის ფსიქოლოგიას, მოწმის ფსიქოლოგიასა და სხვა. ასევე მთლიანობაში ისწავლება ზოგადი და სასამართლო ფსიქოლოგია.
ინსტიტუტს გააჩნია კრიმინალისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.
სწავლება ფასიანია. საბუთები მიიღება 20 ივლისამდე ყოველდღე 10 საათიდან 14 საათამდე.
გამოცდები ჩატარდება ტესტებით შემდეგ საგნებში: 1) ქართული ენა და ლიტერატურა 2) საქართველოს ისტორია.
უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ!
საღამოს განყოფილებაზე ლექციები ტარდება შაბათს და კვირას დღის საათებში. სწავლის ხანგრძლივობაა 5 წელი.
ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1) განცხადება რექტორის სახელზე; 2) საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 3) ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 086; 4) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5) ოთხი ფოტოსურათი 3X4-ზე.

II. სასამართლო ექსპერტთა მომზადების ფაკულტეტზე შემდეგი სპეციალობებით:

1) ავტოტექნიკური ექსპერტი; 2) ექსპერტი-ტრასოლოგი 3) ექსპერტი-ბალისტი; 4) ბუღალტერ-ექსპერტი; 5) ხელნაწერებისა და დოკუმენტების გაყალბების გამოკვლევის ექსპერტი; 6) საინჟინრო და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტი; 7) სახანძრო-ტექნიკური ექსპერტი.
აღნიშნულ ფაკულტეტზე მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები შესაბამისი პროფილის მიხედვით.
სწავლის ხანგრძლივობაა 1 წელი.
ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, ტოვსტონოგოვის ქუჩა 2, (შესახვევი დ. აღმაშენებლის 119/1-თან)
ტელეფონი: 95-28-64.

სამრეწველო-სავაჭრო კომპანია
„სპექტრი“
მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან იღებს ანაბრებს ამერიკულ დოლარებსა და რუსულ მანეთებში

ამერიკულ დოლარებში
1. სამთვიანი ხელშეკრულებები:
ყოველ თვეში გატანის უფლებით — 18 %
სამი თვის ბოლოს გატანით — 63 %
2. ექვსთვიანი ხელშეკრულებები:
სამ თვეში ერთხელ გატანის უფლებით — 72 %
ექვსი თვის ბოლოს გატანით — 162 %
3. ერთწლიანი ხელშეკრულებები:
ექვს თვეში ერთხელ გატანის უფლებით — 168 %
წლის ბოლოს გატანით — 360 %

რუსულ მანეთებში
ერთწლიანი ხელშეკრულებები:
1. სამ თვეში ერთხელ გატანის უფლებით — 77 %
2. ერთი წლის ბოლოს გატანის უფლებით — 810 %

ინვალიდებსა და პენსიონერებს, გათვალისწინებული პროცენტების გარდა, ყოველი ხელშეკრულებით, ამერიკული დოლარის შენატანზე ემატებათ — 2 %-მდე ხოლო რუსულ მანეთებზე — 5 %-მდე.
ჩვენი კომპანიის სამრეწველო საქმიანობა, სავაჭრო-სასაქონლო ოპერაციები და ურთიერთობები საზღვარგარეთელ კომპანიონებთან თქვენი დანაზოგების დაცვის მტკიცე გარანტიაა!
(თანხების შემოტანისას თან იქონიეთ პასპორტი, შესაბამის შემთხვევაში ინვალიდობის მოწმობა ან პენსიონერის წიგნაკი).

მუშაობის საათები: 10-დან 15 საათამდე.
ყოველ დღე, შაბათ კვირის გარდა.
მისამართი:
დავით აღმაშენებლის გამზირი № 103
(ქართული თოჯინების თეატრი. I სართული).
ტელ: 95-26-63.

ყურადღება!
ორგანიზაცია აგიშენებთ ორ, სამ ან ოთხსართულიან ნებისმიერი პროექტურული ფორმის სახლს 20-25 პროცენტიანი ფასდაკლებით;
აგრეთვე გარაჟებს.
იჩქარეთ! დაკვეთა მიიღება საკონკურსო წესით.
ნუ გაუშვებთ ხელიდან სახლის იაფად აშენების შანსს!!!
ტელ: 35-08-01, 35-49-76, 9-დან 17 საათამდე.
36-03-88, 22-22-33 19 საათის შემდეგ.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ალეკო ასლანიშვილი.
ინდექსი 66484